პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской сср

ორშაბათი, 25 თებერვალი, 1946 წ. № 42 (7515) ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს სახელოვან XXV წლისთავს!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის დღეს.

ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს მშრომელები თავდადებულ ბრძოლას ეწეოდნენ თავიანთი მჩაგვრელების — მეფის მოხელეების, ქართველი მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ქართველი ხალხის ეს ბრძოლა სრული წარმატებით დამთავრდა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს რეაქციული, ხალხისათვის მტრული რეჟიმი, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და ამით იხსნეს თავისი ქვეყანა უცხოელი იმპერიალისტების მიერ დამონებისაგან. ამ დროიდან დაიწყო ახალი ეპოქა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ისტორიაში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველო გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად. დიდი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა საქართველომ სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში. ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა 800-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. ძირფესვიანად რეკონსტრუირებულია მარგანეცის, ნავთგადამმუშავებელი და ქვანახშირის დარგები მრეწველობისა. ახლად შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობის, იშვიათი ლითონების მომპოვებელი, ქიმიური, საფეიქრო, კვებისა და სხვა. აშენდა დაზგათმშენებელი, საავიაციო, ავტოსარემონტო, და თუჯ-ფოლადსამსხმელო ქარხნები თბილისში, მანქანათმშენებელი და ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები ბათუმში, საკონსერვო კომბინატები გორსა და ქუთაისში, ენგურის ჰესალდის კომბინატი, ფერო-შენადნობთა ქარხანა, აბრეშუმის კომბინატი, ათობით ჩაისა და თამბაქოს ფაბრიკები და მრავალი სხვა საწარმო. რესპუბლიკაში აგებულია ხუთი დიდი და 500-მდე მცირე ჰიდროელსადგური.

საკოლმეურნეო წყობილებამ გარდაქმნა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. თანამედროვე მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულმა საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით აითვისეს ახალი ძვირფასი ციტრუსოვანი და ტექნიკური კულტურები. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 60-ჯერ და უფრო მეტად, ციტრუსოვანი კულტურებისა — 50-ჯერ. საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად აძლევენ ათასობით ტონა ჩაის, ასობით მილიონ ცალ მანდარინს, ფორთოხალსა და ლიმონს. რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების აღორძინება და აყვავება. საქართველოს სს რესპუბლიკა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა გახდა. რევოლუციამდე საქართველოში 1.785 დაწყებითი და საშუალო სკოლა იყო. ახლა რესპუბლიკაში მუშაობს 4.120 დაწყებითი და საშუალო სკოლა, 126 ტექნიკუმი და 22 უმაღლესი სასწავლებელი. სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 158 ათასიდან გაიზარდა 600 ათასამდე. საქართველოში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია და მრავალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნარიანი საბრძოლო მოქმედებისა და გმირობისათვის ათიათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია თავდადებულად შრომობდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელნი კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ ახალი წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

მისალმება საქართველოს მშრომელებს

დიდმა სტალინმა 9 თებერვალს უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ წარმოთქმულ სიტყვაში, ილაპარაკა რა უახლოესი მომავლისათვის კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმების შესახებ, სთქვა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ყოველგვარ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა ფართო მშენებლობას, რომლებიც მეცნიერებას საშუალებას მისცემენ გაშალოს თავისი ძალები. ეს ახალ უმაგალითო პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა მეცნიერებას. ჩვენი ყველაზე თანმიმდევრული საბჭოთა დემოკრატია სავსებით უზრუნველჰყოფს მეცნიერების გამოყენებას მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, მშვიდობის, პროგრესის ინტერესებისათვის.

ვეუსურვებ საქართველოს მეცნიერთა სახელოვან პლეადას კიდევ უფრო დიდი წარმატებისათვის მიეღწიოს ამ დიად საქმეში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვავილოვი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავს.

ოცდახუთი წლის წინათ საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, განდევნეს უცხოელ იმპერიალისტთა აგენტურა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად საქართველოს ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკაში აგებულია ასობით სამრეწველო საწარმო, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვანახშირის, მარგანეცისა და ნავთგადამმუშავებელი დარგები მრეწველობისა, ახლად შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობის, ქიმიური, იშვიათი ლითონების მომპოვებელი, კვებისა და სხვა; ფართოდ განვითარდა ენერგეტიკული მეურნეობა. მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილმა საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ჩაის, ციტრუსების, ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების გაშენებაში, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოობის განვითარებაში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატებებმა ხელი შეუწყეს საქართველოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მნიშვნელოვან ამაღლებას. საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების ფართო ქსელმა უზრუნველჰყო ეროვნული ინტელიგენციის მეცნიერული და ტექნიკური კადრების მნიშვნელოვანი ზრდა; უაღრესად განვითარდა ქართველი ხალხის მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება.

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს მშრომელებმა გამოიჩინეს უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი. ფრონტებზე თავისი მამაცობითა და გმირობით, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავდადებული შრომით საქართველოს სს რესპუბლიკის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მოიპოვეს მტერზე გამარჯვება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ საქართველოს მშრომელნი კვლავაც თავდადებულად იბრძოლებენ თავიანთი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ზრდისათვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერების განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. გ. თ. სტურუას

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს

მხურვალედ გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ყველა ამხანაგს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას სახელოვან 25 წლის იუბილეს.

საბჭოთა წყობილების განვლილი 25 წლის მანძილზე შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად გმირულად იბრძოდა ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, საბრძოლო ფრონტებზე თავისი საუკეთესო შვილებით სისხლით და ზურგში მთელი ქართველი ხალხის თავდადებული შრომით იცავდა ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას. ლენინ-სტალინის დიადი დროშით, ბრძენი გენერალისიმუსის სტალინის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაამარცხეს თავიანთი მტრების ურდოები, მოიპოვეს სრული გამარჯვება.

თავის სახელოვან 25 წლისთავს ქართველი ხალხი დღესასწაულობს მშვიდობიანი განვითარების პირობებში, როცა საბჭოთა მიწა-წყლის ყველა ხალხმა გაძარჯვებულთა კანონიერი სიამაყით ფართოდ გააჩაღა ომით დანგრეული სოციალისტური მეურნეობისა და კულტურულ განძეულობათა აღდგენითი სამუშაოები.

თქვენი დღესასწაული დაემთხვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დამთავრებას, არჩევნებისა, რომელმაც ცხადჰყო ყველა ხალხის უდიდესი დარაზმვა, მათი სისხლხორცეული და ძმური კავშირი ლენინ-სტალინის პარტიასთან, მათი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ხალხთა დიდი ბელადის სტალინისადმი.

შესაძლებლობა არა მაქვს პირადად მივიღო მონაწილეობა ამ დიდ ზეიმში. სულითა და გულით ვეუსურვებ სახელოვან ქართველ ხალხს უფრო დიდ წარმატებებს საქართველოს რესპუბლიკის განუწყვეტელი და უფრო სწრაფი ზრდისა და აყვავების საქმეში მთელი საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ. დაე განმტკიცდეს მოძმე საბჭოთა ხალხების ურღვევი სტალინური მეგობრობა. დაე მარადჟამს ცოცხლობდეს სახელოვანი ქართველი ხალხი, მრავალჟამიერ გამარჯვება ხალხის გენიალურ ბელადს სტალინს ყველა ხალხთა სასიხარულოდ.

კ. ვოროშილოვი

საბჭოთა დროშა დაგნათის, მზესავით მოეფინე; აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, იღბინე, ქართველთ მხარეო!

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. გ. თ. სტურუას საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავთან დაკავშირებით სულით და გულით ვუსურვებთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რეაპუბლიკას შემდგომ აყვავებას საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩვენი სამშობლოს დასაცავად, მტრის გასანადგურებლად აღსდგა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ქართველმა ხალხმა საპატიო ადგილი დაიკავა. ქართველმა ხალხმა მკერდით დაიცვა თავისი მშობლიური საქართველო, ხოლო როცა მტერმა კავკასიონის ქედიდან უკან დაიხია, ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების ხალხებმა, იკისრა სამხედრო პროდუქციითა და სურსათით ჩვენი მამაცი წითელი არმიის მომარაგების ამოცანა.

ამჟამად, როცა ომისშემდგომი მშენებლობის პერიოდი დადგა, დიდმა სტალინმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს დაუსახა ამოცანა — მოაწყონ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რაც საშუალებას მოგვცემს ერთისამად ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობა დონე ომამდელ დონეებთან შედარებით.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ქართველი ხალხი დიდი სტალინის ამ მითითებასაც ღირსეულად და ბოლშევიკურად შეასრულებს.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს!

დიდება დიად სტალინს!

გ. ჟუკოვი, ი. სეროვი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სჯალინს

ჩვენო მშობლიურო მამავ და მეგობარო, დიდო ბელადო და მასწავლებელო!

ყოველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყოველი მშრომელი, ფიქრით გიზიარებთ თქვენ ყველაზე დიდ თავის სიხარულს სწორედ ისევე, როგორც მძიმე განსაცდელის ჟამს იგი ფიქრით მოგმართავთ თქვენ და თქვენს დიად სახეში ჰპოვებს უდრეკ ნებისყოფასა და სულის ურყევ სიმტკიცეს.

დღეს უდიდეს სიხარულს განიცდის ქართველი ხალხი, რომელიც სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისი განთავისუფლების მეოთხედ საუკუნეს დღესასწაულობს. თქვენდამი მომართავს იგი თავის პირველ ფიქრსა და უსაზღვრო სიყვარულთა და უღრმესი მადლობით აღსავსე პირველ გრძნობებს. იგი თქვენში ხედავს თავის განმათავისუფლებელს, თავისი დღევანდელი ბედნიერების შემოქმედს და კიდევ უფრო ბედნიერი მომავლის იმედს.

თქვენში განსახიერდა საუკუნეობრივი მისწრაფება თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე გმირულ ბრძოლაში გამოატარა ეროვნული თავისუფლების დროშა, მრავალმხრივი თვითმყოფი კულტურის დროშა. ქართველი ხალხი თავის თქმულებებსა და სიმღერებში თითქოს წინასწარმეტყველურად სჭვრეტდა დიდი შვილის დაბადებას, რომელიც განთავისუფლებას მოუტანდა მთელ განაწამებ და ჩაგრულ კაცობრიობას. თითქოს ამ მომავალი ბედნიერების რწმენა განუმტკიცებდა მას ბრძოლის სულისკვეთებას და ამრავლებდა მის ძალებს მრავალრიცხოვან მტრებთან შეტაკებებში.

ქართველი ხალხი რუსეთის ცარიზმის და საკუთარი ბურჟუაზიისა და მემამულეების ორმაგი უღლის ქვეშ იტანჯებოდა, როცა თქვენ აღმართეთ თავისუფლების დროშა, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, როცა თქვენმა ბრძნულმა და მგზნებარე სიტყვებმა თვალი აუხილეს და გარეშო სინამდვილე დაანახვეს მოწინავე ადამიანებს, აღაფრთოვანეს ისინი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა თქვენი დიდებული ხელმძღვანელობით ჩასწერეს ბრწყინვალე ფურცლები ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. თქვენ აღაფრთოვანებდით მათ მენშევიკების ბატონობის დამხობისათვის საბრძოლველად, მენშევიკებისა, რომლებიც ცდილობდნენ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად გადაექციათ.

თქვენს სახელთან არის დაკავშირებული დიადი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნები, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა გადააქციეს თავისუფალ აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, თქვენს სახელთან არის დაკავშირებული ქართველი ხალხის გადარჩენა ფაშიზმის მიერ დამონებისა და ფიზიკური მოსპობისაგან.

ყოველივეს, რაც კი საუკეთესო აქვს დღეს ჩვენს ხალხს, მთელ თავის კეთილშობილურ და გაბედულ ოცნებას მომავალზე იგი უკავშირებს თქვენს სახელს, ვინაიდან თქვენი სახელი თავისუფლებისა და ბედნიერების სიმბოლოა, თქვენი სახელი გამარჯვების სიმბოლოა.

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, —სთქვა უკვდავმა რუსთაველმა.

პოეტის ამ სიტყვებში არსებული სინამდვილე როდია გამოხატული, ვინაიდან იმ დროს ყველგან ბოროტი იყო გამეფებული კეთილზე. პოემა ამ სიტყვებით გამოხატა ხალხის ოცნება კეთილის მიერ ბოროტის დაძლევაზე, ხალხის დიდი უმრავლესობის განთავისუფლებაზე უმნიშვნელო უმცირესობის მიერ საუკუნეობრივი დამონებისაგან. ლენინი და თქვენ—კაცობრიობის ორი უდიდესი გენიოსი—მოგვევლინეთ არა მარტო კეთილის მებაირახტრეებად, თქვენ პირველად მიანიშნეთ მას ბოროტის შემუსვრელი ძალა. კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე საუკეთესო ადამიანთა ყველა კეთილშობილური მისწრაფებანი თითქოს შეიყარნენ თქვენს მგზნებარე გულებში, რომლებიც მუდამ შეთანხმებულად ძგერდნენ—და მათ აღანთეს მილიონთა გულები, დარაზმეს ისინი ბოროტის მატარებელთა წინააღმდეგ—ხალხის მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

თქვენ მკაფიოდ გაუნათეთ ბრძოლის გზა მილიონობით ჩაგრულთა და ბედკრულთ და უჩვენეთ მათ ბედნიერი მომავლის კონტურები. თქვენ წაიყვანეთ მილიონები მძიმე ბრძოლისა და ნათელი იმედების ამ გზით და გამარჯვებამდე მიიყვანეთ ისინი.

ისტორიაში პირველად იწყო ხალხმა თავისი ბედის გადაწყვეტა, პირველად მოიპოვა თავისუფლება არა სიტყვით, არამედ საქმით.

ლენინმა თქვენ გიანდერძათ თავისი დიადი აზრები. თქვენ დაგაწვათ მხრებზე უმაგალითო სიმძიმე ხალხის თავისუფლების მრავალრიცხოვანი მტრების შემუსვრისათვის, საზოგადოების ძირეული გარდაქმნისათვის ბრძოლისა. თქვენ მაღლა ასწიეთ ლენინიზმის დროშა და მილიონობით მშრომელები მტკიცე რწმენით გამოგყვნენ თქვენ, ვინაიდან იცოდნენ თქვენი უსაზღვრო ერთგულება თავისუფლების საქმისადმი, თქვენი უღრმესი სიბრძნე და თქვენი ურყევი ნებისყოფა.

თქვენი გენია ბრძოლისა და შრომის გზას უნათებდა ამ მილიონებს. თქვენ ასწავლიდით მათ სიძნელეთა გადალახვას და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიგყავდათ ისინი. რაც შეუსრულებელ ოცნებად ეჩვენებოდათ არა მარტო სიძულვილით დაბრმავებულ მტრებს, არამედ ჩვენს მეგობრებსაც, თქვენი წინამძღოლობით რეალობად იქცა, ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელთა ყოფაცხოვრებაში შევიდა. საბჭოთა ხალხის დიადი მონაპოვარნი თქვენ ოქროს ასოებით აღბეჭდეთ სახალხო თავისუფლების ქარტიაში, სტალინურ კონსტიტუციაში.

მაგრამ თქვენ არა მარტო დარაზმეთ მილიონები დიადი მშენებლობისათვის, რამაც უმოკლეს ისტორიულ ვადაში აღმოფხვრა მეფის რუსეთის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, თქვენ ასწავლიდით მათ როგორ დაეცვათ მოპოვებული და აშენებული.

თქვენ ასწავლეთ ბოლშევიკურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს თავიანთი შინაური მტრების გამოცნობა და მოსპობა, თქვენ დაუღალავად ზრუნავდით გარეშე მტრებისაგან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, გენიალური გამჭრიახობით წინასწარ სჭვრეტდით იმპერიალისტ მტაცებელთა თავდასხმას სოციალიზმის პირველ ქვეყანაზე მსოფლიოში. თქვენ უზრუნველჰყავით საბჭოთა ხალხის მორალური და მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღება მტრული კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე და ვერაგმა მტერმა ჩვენს ქვეყანას მოუმზადებელს ვერ მოუსწრო.

მსოფლიოში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებდა საზარელ ფაშისტურ სამხედრო მანქანას, გარდა ლენინისა და თქვენ მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოსი. მსოფლიოში ვერც ერთი არმია ვერ გაუმკლავდებოდა ფაშისტთა მექანიზებულ ურდოებს, გარდა თქვენ მიერ გამოზრდილი გმირი წითელი არმიისა. თქვენი უშიშარობა და სიმტკიცე კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს განსაცდელთა პერიოდში, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობა ფრონტისა და ზურგისადმი სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც სახელმწიფოებრივი და სამხედრო ხელმძღვანელობის ნიმუში, როგორც სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუში.

საბჭოთა ხალხმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ იგი ფრონტზე ომობდა თქვენი ბრძნული გეგმით და ზურგში მუშაობდა თქვენი ბრძნული პროგრამით. წითელმა არმიამ იმიტომ გაანადგურა მტრის ურდოები, რომ თქვენ მას აღაფრთოვანებდით ისტორიაში უმაგალითო საგმირო საქმეებისათვის; მან მტერი დაამარცხა იმიტომ, რომ თქვენი მეთხებით არაფერში არ ჰქონია გაჭირვება; დამპყრობთა მრისხანე არმიასთან პირისპირ შებმიდან იგი იმიტომ გამოვიდა გამარჯვებული, რომ მას მიუძღოდა თქვენი უმაგალითო მხედართმთავრული გენია, რომ მისი ოფიცერთა კადრები და გენერლებისა და მარშლების სახელოვანი პლეადა დაეუფლა ომის წარმოების სტალინურ ხელოვნებას, რომელიც სამხედრო მეცნიერების მწვერვალს წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხმა სამართლიანად გიწოდათ თქვენ თავისი მხსნელი ფაშისტური დამონებისაგან. მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები სამართლიანად გიწოდებენ თქვენ კულტურისა და ცივილიზაციის მხსნელს თანამედროვე ბარბაროსების მიერ მოსპობის საფრთხისაგან.

მეფის რუსეთის წინათ ჩაგრული ხალხები თქვენ გიმადლიან თავიანთ განთავისუფლებას, თავიანთი ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის აყვავებას. თქვენ ხართ სსრ კავშირის ხალხთა მზრუნველი მამა, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა დიდი და შუდმივი მეგობარი, პროგრესული კაცობრიობის ბრძენი მასწავლებელი, თქვენ ხართ სახელოვანი ბელადი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოლიტიკური პარტიისა—ბოლშევიკური პარტიისა.

თქვენი ნება წარმართავს გიგანტური საბჭოთა სახელმწიფოს და ორასმილიონიანი საბჭოთა ხალხის ძალსა და ენერგიას, თქვენი გონება აგებს საზოგადოებრივი განვითარების ახალ კანონზომიერებებს და აშუქებს ბრძოლისა და შრომის ახალ გზებს, რომლებსაც კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ მივყევართ. თქვენ ხართ თანამედროვე მეცნიერების კორიფე, მარქს-ენგელს-ლენინის დიდი მემკვიდრე, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალ მწვერვალებზე აგყავთ. თქვენს შესახებ ქართველი ხალხის მრავალრიცხოვან სიმღერებს შორის არის ასეთიც:

„არ გამოვიდეს მზე ცაზე,
მთვარემაც დაიგვიანოს,
შენი სხივები ჩვენს გულში
მაინც ანათებს, ციალობს“.

ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის დღეს ნება გვიბოძეთ ჩვენ, ქართველი ხალხის წარმომადგენლებს, მისი სახელით მოკლედ მოგითხროთ თქვენ, ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს, თუ რა გაკეთეს საქართველოს მშრომელებმა თქვენი მითითებების შესასრულებლად, პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განსახორციელებლად.

რა იყო საქართველო საბჭოთა ხელისუფლებამდე და რა გახდა იგი ახლა?

უძველესი მეტალურგიისა და მშენებლობის ქვეყანა — საქართველო, უცხოელთა არაერთგზის შემოსევის, ხოლო შემდეგ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად ჩამორჩა სამრეწველო განვითარების მხრივ და ბოგინობდა ისე, რომ არ ჰქონია რამდენადმე მნიშვნელოვანი ინდუსტრია, თუ არ ჩავთვლით ჭიათურის მარგანეცის მაღაროებს, რომლებსაც უცხოეთის კაპიტალი ამუშავებდა. მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე, ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით იგი გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მრეწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად. მსუბუქ და კვების მრეწველობასთან ერთად განუხრელად ვითარდებოდა მძიმე მრეწველობაც. ახლა ჩვენ გვაქვს მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა და დაზგათმშენებლობა. უკვე 1940 წელს სტალინური ხუთწლედების შედეგად საქართველოს სამრეწველო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 27-ჯერ გაიზარდა. მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ამჟამად თქვენი მითითებით თბილისის რაიონში შენდება, უდიდესი საწარმო იქნება ამიერკავკასიაში. მალე ჩვენ გვექნება საკუთარი საავტომობილო ქარხანაც, რომელიც სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად ათიათასობით მძლავრ სატვირთო ავტომობილს მისცემს.

საბჭოთა ელექტროფიკაციის ერთ-ერთ პირმშოს — ზაჰესს მოჰყვა რიონჰესი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და მთელი რიგი სხვა სადგურები. ხრამჰესი, რომლის მშენებლობაც მოკლე ხანში დამთავრდება, უდიდესი ჰიდროელექტროსადგური იქნება საქართველოში.

ამოძრავებულია სიმდიდრენი, რომლებიც ჩვენი მადლიანი მიწის წიაღში სთვლემდნენ. სტალინური ხუთწლედების მანძილზე საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ნავთის მრეწველობას, რომელსაც განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს. წლითიწლობით ფართოვდება ქვანახშირის მოპოვება იმ ვარაუდით, რომ მთლიანად დაკმაყოფილოს არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე მთელი ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საჭიროება.

ეს არის არა სავსებით სრული სურათი საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიისა, რომელიც სწრაფად ვითარდება.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად სწარმოებდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებაც. აგებულია ასობით კილომეტრი ახალი რკინიგზები, რომლებიც რესპუბლიკის სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს რაიონებთან აკავშირებენ და რომლებმაც საქართველო უშუალოდ დააკავშირეს რსფს რესპუბლიკასთან. რეკონსტრუირებული და ელექტროფიცირებულია ძველი რკინიგზების მნიშვნელოვანი ნაწილი. გზატკეცილების ფართო ქსელმა შეაერთა ყველა რაიონი, მათ შორის მაღალმთიანი რაიონები, საქართველოს ცენტრებთან.

უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანას, კულტურული ხორბლისა და ვაზის სამშობლოს, საქართველოს, ველური დამპყრობლების ამაოხრებელ შიმოსევათა გამო, რომლებიც სწვავდნენ ყანებს და სჩეხდნენ ხეხილის ბაღებსა და ვენახებს, აგრეთვე თავადაზნაურულ-მემამულური ექსპლოატაციის გამო არ შეეძლო განვითარებინა თავისი სოფლის მეურნეობა საუცხოო ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად.

ახლა კი? თითქოს სასწაულები მოახდინა თავისუფალმა ქართველმა გლეხობამ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით. ძირეულად გარდაქმნილია სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა, მტკიცედ დამკვიდრდნენ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანები—ტრაქტორი, სათესი მანქანა, კომბაინი და სხვები. დაქსაქსულ სუსტ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის სტალინურმა გზამ საქართველოს სოფელი კულტურულ და შეძლებულ ცხოვრებამდე მიიყვანა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დანერგილი და ათვისებულია ისეთი მაღალშემოსავლიანი ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ტუნგო. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისადმი თქვენი ყოველდღიური ყურადღების პასუხად შეგვიძლია მტკიცედ აღგითქვათ, რომ უახლოეს მომავალში მილიონად დავაკმაყოფილებთ ჩვენი სამშობლოს ორასმილიონიანი მოსახლეობის მოთხოვნილებას მაღალხარისხოვანი ჩაით და ჩვენს ქვეყანას მრავალ ასეულ მილიონობით მივცემთ ციტრუსოვანთა სურნელოვან ნაყოფს—ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს.

აღორძინებულია და სწრაფად ვითარდება მევენახეობა—საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგი, რომელიც ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში გაჩანაგდა. საქართველოს ღვინოები მთელ საბჭოთა კავშირშია განთქმული. ჩვენ ვიცით, რომ ისინი ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის საკმარისი ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ მტკიცედ შეგვიძლია აღგითქვათ, რომ ახლო მომავალში მათი რაოდენობა გაორკეცდება.

ვნერგავთ და ვავითარებთ რა ტექნიკურ და საეციალურ კულტურებს, ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ რესპუბლიკის მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. ათვისებულია ასიათასობით ჰექტარი ახალი მიწა, რომელიც წინათ არ მუშავდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე სამიწათმოქმედო კულტურათა ფართობი თითქმის ერთიორად გაიზარდა. კოლხიდის დაბლობის დაშრობის გრანდიოზულმა სამუშაოებმა, რაც თქვენი ინიციატივით დაიწყო, უკვე მოგვცეს პირველი ათასობით ჰექტარი უხვმოსავლიანი მიწა. პერსპექტივაში გვაქვს კოლხიდის მთელი დაბლობის საუცხოო ბაღნარად გადაქცევა.

სოფლის მეურნეობის ასეთმა აღმავლობამ, განსაკუთრებით მაღალშემოსავლიანი სპეციალური და ტექნიკური კულტურების დანერგვამ, გააუმჯობესა კეთილდღეობა კოლმეურნე გლეხობისა, რომელსაც განუწყვეტლივ გადააქვს ყოფაცხოვრებაში ქალაქური კულტურა.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ძლიერ შეუწყო ხელი ჯანმრთელობის დაცვის უმაგალითო განვითარებამაც. ამ მხრივ ძნელიც კია ომის შედარება, რაც საბჭოთა ხელისუფლებამდე იყო, იმასთან, რაც ახლა გვაქვს. არ არის არც ერთი სოფელი, რომელიც უზრუნველყოფილი არ იყოს საექიმო მომსახურებით. სწრაფად ვითარდებოდა საკურორტო მშენებლობა, რომელმაც საქართველო საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის კერად აქცია.

ცნობილია, რომ საქართველოს კულტურას უძველეს დროში აქვს სათავე. ახლაც გვაოცებს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, რომლებიც ბარბაროსულ შემოსევებს გადაურჩნენ. ძველი დროის დანგრეული მრავალრიცხოვანი დიდებული ნაგებობანი და ძველ ხელნაწერთა ნაშთებიც კი მოწმობენ ქართველი ხალხის შეუპოვრობას, რასაც იგი იჩენდა თავისი თვითმყოფი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში მომთაბარე და სხვა ბარბაროს დამპყრობთა, განსაკუთრებით მონღოლებისა და თურქების, განუწყვეტელ შემოსევათა პირობებში. არქეოლოგიური გათხრები ცხადჰყოფენ ძველი ქართული კულტურის ახალ, წინათ უცნობ ფენებს.

მაგრამ არაერთგზისი ხანგრძლივი ჩაგვრა უცხოელი დამპყრობლების მხრივ, რომლებიც ანგრევდნენ არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე სულიერი კულტურის ძეგლებს, ხოლო შემდეგ საუკუნეობრივი ბატონობა ცარიზმისა, რომელიც ეროვნული კულტურის ოდნავ გამოვლინებასაც კი ახშობდა, ქართველ ხალხს საშუალებას არ აძლევდა გაეშალა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ქართველ ხალხს მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის აღორძინება და უმაგალითო გაფურჩქნა. საქართველოს მაგალითით ბრწყინვალედ დადასტურდა, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს არის შესაძლებელი თვითეული ხალხის შემოქმედებითი ძალების სრული გაშლა და მისი ეროვნული კულტურის ნამდვილი აღმავლობა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში საშუალო სკოლები თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო უმაღლესი სასწავლებელი სულაც არ ყოფილა. ახლა კი ყოველ 4 ათას სულ მოსახლეობაზე მოდის ერთი საშუალო სკოლა და ყოველ 170 ათას სულზე ერთი უმაღლესი სასწავლებელი. საქართველოს ოც უმაღლეს სასწავლებელში, რომლებიც ამზადებენ კადრებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგისათვის, გამოირჩევა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავე უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირში.

ქართული კულტურის დღესასწაული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გახსნა, რომელიც თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე ქართული მეცნიერების ნამდვილ ცენტრად გადაიქცა. აკადემიის სისტემაში და მის გარეთ მრავალი ათეული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება არსებობს. საბჭოთა პერიოდში აღზრდილ მრავალრიცხოვან მეცნიერულ კადრებს შორის არიან მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ ცნობილი სახელები.

ქართულ ლიტერატურას, რომელიც არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ვიწრო ჩარჩოში არ შეეძლო მთელი თავისი ძალით გაფურჩქნილიყო. ახლა, როცა ქართველმა ხალხმა სრული თავისუფლება და თავისი შემოქმედებითი ძალების გაშლის შესაძლებლობა მიიღო, სწრაფად აყვავდა ქართული ლიტერატურაც. ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ ახალი შესანიშნავი კადრები პოეტებისა, პროზაიკოსებისა დრამატურგებისა, რომლებსაც უნარი შესწევთ თავიანთ შემოქმედებაში ღირსეულად ასახონ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ისტორიული წარსული და სტალინური ეპოქის საქმეთა სიდიადე.

მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებას არ ჩამორჩებოდა ხელოვნების ყველა სახის განვითარებაც.

ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ ძველ დროში იცოდა თეატრალური ხელოვნება, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ჭეშმარიტად ეროვნული თეატრის აღორძინება. ახლა ჩვენი დადაქალაქის თეატრები—ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის დრამატიული თეატრები, გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი ფართოდ არიან ცნობილნი საქართველოს ფარგლებს გარეთ. საბჭოთა პერიოდში გაზრდილი საუცხოო აქტიორული კადრების მეოხებით, რომელთა შორის არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტებიც, ჩვენი თეატრები თავიანთ დადგმებში მაღალი მხატვრული დონით ასახავენ ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებს.

საბჭოთა პერიოდში შეიქმნა საქართველოს კინემატოგრაფია. მან უკვე მოგვცა მთელი რიგი პირველხარისხოვანი ფილმები, რომლებიც ფართოდ ცნობილი გახდნენ მთელ საბჭოთა კავშირში. თბილისის კინოსტუდია ერთ-ერთი უდიდესია სსრ კავშირში.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების აღორძინებისა და განვითარების საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაიფურჩქნა ქართული ფერწერა, სკულპტურა და მუსიკა. გაიზარდნენ მხატვრებისა და მოქანდაკეების შესანიშნავი კადრები, რომლებიც ტილოზე და მარმარილოთი ასახავენ ქართველი ხალხის ბრძოლასა და შრომას, რევოლუციური წარსულისა და ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის გმირებს.

ქართველმა საბჭოთა კომპოზიტორებმა შეჰქმნეს მონუმენტური ნაწარმოებები მუსიკის ყველა ჟანრის, მათ შორის ოპერისა და ბალეტის, დარგში. ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის მაღალ დონეს მჭევრმეტყველურად მოწმობს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების 25 წლისთავისათვის შექმნილია საოპერო ნაწარმოები, რომელიც მუსიკალური საშუალებებით ღირსეულად ასახავს რუსთაველის უკვდავ ქმნილებას.

ეს არის არა სავსებით სრული ნუსხა იმ დიდი მიღწევებისა, რომლებითაც ქართველი ხალხი თავის დიად ეროვნულ დღესასწაულს ეგებება.

ეს მიღწევები კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, მტრის ვერაგული თავდასხმა რომ არა, რამაც მთელი ოთხი წლით შეაწყვიტა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა და აიძულა იგი მთელი თავისი ენერგია და მთელი რესურსები მოეხმარებინა დიდ სამამულო ომში მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფისათვის. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი მთელ თავის ძალღონეს ახმარდა ფრონტისათვის დახმარებას, სწრაფად გარდაჰქმნა თავისი სახალხო მეურნეობა სამხედრო ყაიდაზე და არმიასა და ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი რაოდენობით აწვდიდა სამხედრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

ქართველი ხალხის შვილები გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე, საქართველოს მშრომელები თავდადებულად მუშაობდნენ ზურგში, ვინაიდან კარგად ესმოდათ, რომ ომში, რომელიც თავს მოგვახვია მოსისხლე მტერმა, საბჭოთა კავშირის—სსრ კავშირის ხალხთა საერთო საშშობლოს—ბედთან ერთად წყდებოდა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის ბედიც.

სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი უდიდეს ბედნიერებას განიცდის, რომ თქვენ ჰყევხართ ხელმძღვანელად ბრძოლასა და შრომაში, რომ ყოველდღიურად გრძნობს თქვენს მამობრივ მზრუნველობასა და დახმარებას. ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, იგი მადლიერია თავისი ისტორიული ბედისა იმისათვის, რომ გადამწყვეტ დიდ განსაცდელთა ჟამს ბელადად და მხედართმთავრად ჰყავდით თქვენ, რომელმაც არ იცით ბრძოლაში დამარცხება, არ იცით შიში სიძნელეთა წინაშე და თქვენი გენიის ძალით წლობითა და ათეულ წლობით სჯვრეტთ მომავალს.

ქართველ ხალხს თავის ბედნიერებად მიაჩნია, რომ იგი სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, ლრღვევი სტალინური მეგობრობით შეკავშირებულ ოჯახში მყოფი შეხვდა მძიმე განსაცდელს. უსაზღვროა მისი მადლობა უფროსი ძმისადმი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ოჯახში—დიდი რუსი ხალხისადმი, რომელმაც თავისი დეევმირული მხრებით გადაიტანა ფაშისტ დამპყრობთა წინაარმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ძირითადი სიმძიმე.

თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს ქართველი ხალხი ზეიმობს ბოლშევიკური პარტიის გარშემო, სსრ კავშირის ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** გარშემო ურღვევი შემჭიდროების ნიშნით, სოციალისტური სამშობლოსადმი და ხალხთა სტალინური მეგობრობისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიშნით. ეს მან ნათლად ცხადჰყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ არჩევნებში.

ქართველი ხალხის სახელით გეფიცებით თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, რომ ღირსეულად შევასრულებთ თქვენს ყოველ მითითებას, პარტიისა და მთავრობის ყოველ მითითებას ომით მოყენებული ჭრილობების უსწრაფესად მოშუშებისათვის და საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული მსოფლიო ისტორიული გამარჯვების განმტკიცებისათვის.

გეფიცებით თქვენ, რომ მთელ ჩვენს ძალღონესა და ცოდნას მოვახმართ ჩვენს ქვეყანაში ომისშემდგომი მშენებლობის თქვენ მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

გეფიცებით თქვენ, რომ დაუღალავად, ძალღონის დაუზოგავად კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი დიდი სამშობლოს სამხედრო და ეკონომიურ ძლიერებას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის სახელოვან 25 წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორს — ბრძენ ბელადსა და უდიდეს მხედართმთავარს ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**



მოსკოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამხანაგ მ. ი. კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელს.

ამ დღეს ქართველი ხალხი ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ერთხელ კიდევ მოიგონებს თქვენს ადრინდელ საქმიანობას საქართველოში როგორც პროფესიონალი რევოლუციონერისას, რომელიც თბილისელ მუშებს ზრდიდით თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინურ-სტალინური შეურიგებლობის სულისკვეთებით.

საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე თქვენს საქმიანობას მუდამ ახასიათებდა უდიდესი ერთგულება ლენინურ-სტალინური თეორიის პრინციპებისადმი, მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი ჩვენი სამშობლოს მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან, გულისხმიერება და მზრუნველობა სსრ კავშირის ხალხთა საჭიროებისადმი, ბოლშევიკური სიბრძნე ხელმძღვანელობაში და ამით თქვენ დაიმსახურეთ საყოველთაო სახალხო სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა ქვეყანაში.

ქართველი ხალხი ყოველთვის გრძნობდა თქვენს ზრუნვასა და დახმარებას ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის საქმეში, ეროვნული კულტურის გაფურჩქვნის საქმეში.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საქართველო ჩამორჩენილი ნახეთრადკოლონიური განაპირა ქვეყნიდან გადაიქცა სსრ კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად.

ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების ფართოდ დანერგვის მეოხებით საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში.

სწრაფი ტემპით გაიფურჩქნა საბჭოთა საქართველოს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ის უდიდესი წარმატებები, რომლებიც მიღწეულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური მხარდაჭერით, საკავშირო მთავრობის განუწყვეტელი დახმარებით და დიდი სტალინის პირადი მზრუნველობითა და ყურადღებით, ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის ზეიმის მაგალითს წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში თქვენი დაუღალავი და მრავალმხრივი საქმიანობა, თქვენი ბრძნული გამოსვლები მრავალრიცხოვან კრებებზე და პრესაში აღფრთოვანებდნენ წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს, მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას საგმირო საქმეებისათვის ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმ მომენტში, როცა მტერი კავკასიონის უღელტეხილისაკენ მოიწრაფვოდა და ამიერკავკასიის სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, თქვენ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, მოგვიწოდებდით საგმირო საქმეებისაკენ, სრულ რწმენას გამოსთქვამდით, რომ „ჯალათის წინაშე არასოდეს არ დაიჩოქებენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ხალხები“.

უდიდესი აღმავლობის ვითარებაში ზეიმობს ქართველი ხალხი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავს და ამ დღესასწაულს ატარებს რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული გაფურჩქვნისათვის მთელი თავისი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ლენინისა და სტალინის გამოჩენილ თანამებრძოლს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

მოსკოვი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ, დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის მშენებლობის იმ უდიდეს მიღწევებში, რომლითაც ქართველი ხალხი ეგებება თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს, დიდია პირადად თქვენი წვლილი. თქვენ ყოველთვის გულისხმიერად ეპყრობოდით საქართველოს სამეურნეო და კულტურული განვითარების საჭიროებას, ქართველი ხალხი ყოველთვის გრძნობდა და გრძნობს თქვენს დახმარებას ყველა თავის წამოწყებაში.

ჩვენ გვახსოვს, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, რომ თქვენი რევოლუციური მოღვაწეობის ჯერ კიდევ ადრინდელ პერიოდში თქვენ მხარს უჭერდით ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის. 1912 წელს თქვენ „პრავდის“ ფურცლებზე გამოხვედით მოთხოვნით თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, ამხელდით რა მეფის მოხელეებს, რომლებიც ნებას არ რთავდნენ საქართველოში კულტურული კერები აღმოცენებულიყო. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმ მაღალ შეფასებას, რომელიც თქვენ მიეცით ქართველი ხალხის ღონისძიებათა შედეგებს საქართველოს დელეგაციის მიღების დროს კრემლში 1936 წელს წარმოთქმულ სიტყვაში.

მხოლოდ დიდი რუსი ხალხის დახმარებით, რომელმაც ლენინსა და სტალინს ხელმძღვანელობით პირველმა ააფრიალა ბურჟუაზიულ-მემამულური წუობილების წინააღმდეგ ძლევამოსილი ავანგარდის დროშა, შესძლეს მეფის რუსეთის წინათ ჩაგრულმა ხალხებმა და მათ შორის ქართველმა ხალხმა, განთავისუფლებულიყვნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან. ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, საკავშირო მთავრობის დაუღალავი დახმარებით და დიდი სტალინის პირადი მზრუნველობითა და ყურადღებით ქართველმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის მეთაურობით მოკლე ისტორიულ ვადაში გადააქცია საქართველო ჩამორჩენილი ნახევრადკოლონიური ქვეყნიდან მოწინავე აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი დიდად აფასებს თქვენს წარმატებითს მოღვაწეობას საბჭოთა სახელმწიფოს სტალინური საგარეო პოლიტიკის განხორციელების დარგში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის დარგში.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, რომ სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის უსაზღვროდ ერთგული ქართველი ხალხი კვლავაც მთელ თავის ძალებს მოახმარს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეს, მისი სამხედრო და ეკონომიური ძლიერების ზრდის საქმეს.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას!

გაუმარჯოს დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს ჩვენს მშობლიურ სტალინს!

მოსკოვი

სსრ კავშირის სახკომსაბჭო ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი, თავის გულითად, მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

მეოთხედი საუკუნის წინათ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხისა და გმირი წითელი არმიის დახმარებით, საქართველოს მშრომელებმა დაამხეს ქართველი ხალხის საძულველი მტრების — მენშევიკების ხელისუფლება და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ამ მომენტიდან ქართველი ხალხისათვის ახალი ერა დაიწყო; საქართველო საბოლოოდ და სამუდამოდ შეიდგა სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში და დაადგა სოციალიზმის მშენებლობის ლენინისა და სტალინის მიერ დასახულ დიად გზას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში პარტიამ წამოგაყენათ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ხელმძღვანელ პოსტზე ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანოში.

სამშობლოს საგუშაგოზე ყოფნისას, ხალხის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში, რომლებიც ხელმყოფდნენ თავისუფალი საქართველოს არხებობას, თქვენ, თქვენთვის ჩვეული ბოლშევიკური სიმტკიცითა და გამბედაობით, განუხრელად ახორციელებდით ლენინ-სტალინის პარტიის გენერალურ ხაზს და განამტკიცებდით მუშათა და გლეხთა ხელისუფლების საფუძვლებს საქართველოში.

თქვენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელობას ჩაუდექით უველაზე პასუხსაგებ პერიოდში, როცა ცხოვრებაში ტარდებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკა. თქვენი ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რესპუბლიკები მეურნეობის მხრივ განმტკიცდნენ და კულტურულად აყვავდნენ, ურღვევი გახდა ამიერკავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა. თქვენ აღზრდეთ საქართველოს მშრომელები ჩვენი დიდი სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. დაუღალავი ენერგიითა და დაუშრეტელი ინიციატივით თქვენ აღფრთოვანეთ ისინი დიადი მშენებლობისათვის, რამაც მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა საქართველო გადააქცია მოწინავე, აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. თქვენს სახელთან დაკავშირებულია საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიის აღმავლობა, თქვენს სახელთან დაკავშირებულია ბაკოლმეურნეო წუობილების გამარჯვება და საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძვირფასი კულტურების, განსაკუთრებით სუბტროპიკული კულტურების დანერგვა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. თქვენს სახელთან დაკავშირებულია საქართველოში კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების უმაგალითო აყვავება.

დიდი სამამულო ომის პერიოდში თავი იჩინა თქვენი სახელოვანი ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკების მიერ ჩატარებული დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგებმა. საქართველოს მშრომელნი, უსაზღვროდ ერთგულნი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის საქმისა, ერთსულოვნად აღსდგნენ საძულველი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინ-სტალინის დროშით საქართველოს შვილებმა ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში. ისინი გმირულად, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ სამამულო ომის უველა ფრონტზე, ავითარებდნენ წინაპართა საბრძოლო ტრადიციებს და ამრავლებდნენ ქართული იარაღის ძველ დიდებას.

შრომითი გმირობის ნიმუშები გვიჩვენეს საქართველოს მშრომელებმა ზურგში ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენით.

როცა მტერმა შესძლო უშუალო საფრთხე შეექმნა ამიერკავკასიისათვის, უმაღლესმა მთავარსარდალმა დიდმა სტალინმა თქვენ გამოგგზავნათ ამიერკავკასიის აყვავებული რესპუბლიკების თავდაცვის ორგანიზაციისათვის.

ახორციელებდით რა სტალინურ გეგმას, თქვენ უმოკლეს ვადაში გარდაქმენით ჯარები, რომლებიც იცავდნენ ამიერკავკასიას, და იმ პირობებში, როცა ამიერკავკასიის ფრონტი თითქმის მთლიანად მოწყვეტილი იყო სამხედრო-სამრეწველო და სასურსათო მომარაგების ცენტრებს, უზრუნველჰყავით ჯარები ყოველივე აუცილებლით, აღფრთოვანეთ საბრძოლველად, დარაზმეთ კავკასიის უველა ხალხი და გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცით მტერს, გაანადგურეთ მისი რჩეული ურდოები კავკასიონის კალთებზე. ამიერკავკასიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ თქვენ იხსენით ისინი ფაშისტ ბარბაროსთა გამანადგურებელი შემოსევისაგან და მუდამ უდიდესი მადლობის გრძნობით წარმოსთქვამენ თქვენს სახელს.

თქვენი სიტყვა ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე ჩვენი მუშაობის პროგრამად და აღგვაფრთოვანებს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების მისაღწევად.

ქართველი ხალხის სახელით პირობას გაძლევთ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, რომ მთელ ჩვენს ძალასა და ცოდნას მოვახმართ დიდი სტალინის მიერ დასახული ომისშემდგომი მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე დროშას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

ამხ. ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

ამხანაგებო! რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ და თქვენი სახით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას და მოგილოცავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს. **(ტაში).**

დიდი რუსი ხალხის სახელით ძმურ სალამს ვუძღვნი ქართველ ხალხს! **(ტაში).**

ამხანაგებო! ქართველი ხალხის ისტორია აღსავსეა გმირული ბრძოლით თავისი დამოუკიდებლობისა და ეროვნული განვითარებისათვის.

ქართველი ხალხი მუდამ მამაცურად და გმირულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ცოტა სახელოვანი ფურცელი როდი ჩასწერა ქართველმა ხალხმა ცარიზმის უღლის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ჩვენი ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

ჩვენი პარტიის ისტორიის დასაწყისიდანვე ქართველი ბოლშევიკები მის პირველ რიგებში იყვნენ და თვალსაჩინო როლი შეასრულეს ბოლშევიკური იდეების შემოქმედებითს განვითარებაში და მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

ქართველმა ხალხმა ცოტა თვალსაჩინო რევოლუციური ძოღვაწე როდი მისცა ჩვენს პარტიას.

საქართველომ მისცა საბჭოთა ხალხს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი—ჩვენი საყვარელი ამხანაგი **სტალინი. (მქუხარე ოვაცია. უველანი ფეხზე დგებიან).**

ოცდახუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს საზიზღარი ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საქართველოში გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ.

ქართველი ხალხი, მისი მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია მთელ თავიანთ ენერგიას, შრომისმოყვარეობას და ნიჭს ახმარდნენ თავიანთი სოციალისტური რესპუბლიკის აყვავების საქმეს, დიდი საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს რესპუბლიკამ შეჰქმნა უაღრესად განვითარებული მრეწველობა.

სამამულო ომის პერიოდში მრეწველობა წარმატებით ასრულებდა ფრონტის შეკვეთებს, უშვებდა საბრძოლო ტექნიკას და საომარ მასალას წითელი არმიისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ომის წლებში დაიწყო მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა, რომლის პროდუქცია თითქმის მთლიანად დააკმაყოფილებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილებას ლითონის მხრივ.

საქართველოს მარგანეცით და ფეროშენადნობებით სულ უფრო და უფრო მზარდი მოცულობით მარაგდება საბჭოთა კავშირის მრავალი სამრეწველო საწარმო.

საკოლმეურნეო წუობილებამ შეუქმნა მშრომელ გლეხობას შეძლებული ცხოვრება.

უდიდესია საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი მეხილეობა-მევენახეობის განვითარებაში, ციტრუსოვანი და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების გაშენებაში.

დიდია ქართველი ხალხის მიღწევები ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკა სკოლების ფართო ქსელით დაიფარა. ამჟამად საბჭოთა საქართველოში არსებობს ათასობით დაწყებითი და საშუალო სკოლა, ათობით უმაღლესი სასწავლებელი, თეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ათობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აქვს. საქართველოს მეცნიერებმა მოგვცეს მთელი რიგი ძვირფასი შრომები მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა საქართველო აყვავებულ მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იქცა.

საბჭოთა საქართველოს ეს წარმატებები და მიღწევები წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შედეგს.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები ამ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკურ პარტიას, ჩვენს საბჭოთა მთავრობას, ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს. (ტაში).**

ამხანაგებო! ქართველი ხალხი აღნიშნავს საბჭოთა საქართველოს სახელოვან ოცდახუთი წლისთავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე და იაპონელ იმპერიალისტებზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების ვითარებაში.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ სტურუას

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ბაქრაძეს

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ჩარკვიანს

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭო და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 25-ე წლისთავის დღეს მხურვალე ძმურ სალამს უძღვნიან და ულოცავენ საქართველოს მშრომელთ.

თქვენი სახელოვანი 25 წლის იუბილე აღინიშნება უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როცა მთელმა საბჭოთა ხალხმა თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დროს ერთხელ კიდევ ცხადჰყო ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და მონოლიტური დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველო ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული წინამძღოლობით აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად გადაიქცა.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი ხალხი, დიდი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავის ძალებს ახმარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას და ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა მტრის განადგურების საერთო საქმეში.

თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით, მისი საბრძოლო პროგრამით, რომელიც ჩამოყალიბებულია 1946 წლის 9 თებერვლის სიტყვაში, საბჭოთა კავშირის ხალხები მტკიცე რწმენით მიდიან მშვიდობიანი მშენებლობის დიადი ომისშემდგომი გეგმების განხორციელების გზით.

თქვენი საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს მოძმე ბელორუსი ხალხი უსურვებს საქართველოს მშრომელთ ამრავლონ თავიანთი მიღწევები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნატალევიჩი

ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე პ. პონომარენკო

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კისელიოვი

ამხ. ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

(დასასრული)

გერმანელთა შემოსევის წინააღმდეგ სამამულო ომის დიად ბრძოლებში გმირმა წითელმა არმიამ თავისი გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით, დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და დაეხმარა ევროპის ხალხებს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებაში.

მტერზე გამარჯვებისათვის წითელი არმიის მებრძოლები სიცოცხლეს არ იშურებდნენ, გმირულად და ვაჟკაცურად იცავდნენ ყოველ მტკაველ წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს.

გამარჯვებისათვის მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია მთელ ძალასა და ცოდნას ახმარდნენ იმას, რომ უზრუნველეყოთ ფრონტი და ჩვენი ქვეყანა ყოველივე აუცილებლით.

გერმანელ ფაშისტთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ომში ქართველმა ხალხმა გვიჩვენა მის წინაშე მდგომი ამოცანების მაღალი შეგნება და დიდი წვლილი შეიტანა მტერზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მოპოვების საქმეში.

საქართველოს შვილებმა — წითელი არმიის მეომრებმა — სამშობლოსათვის ბრძოლაში გამოიჩინეს მამაცობა, გულადობა და გმირობა, იცავდნენ რა თავიანთი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები თავდადებულად მუშაობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა დახმარებოდნენ ფრონტს საზიზღარი მტრის რაც შეიძლება მალე განადგურებაში.

დიდება წითელი არმიის მეომრებს, საბჭოთა საქართველოს მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე! **(ტაში).**

საბჭოთა საქართველო ზეიმობს თავის იუბილეს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის დღეებში.

მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი ნებით კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიის, ერთსულოვნად და მხურვალედ უჭერს მხარს მის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას. **(ტაში).**

არჩევნების შედეგები ცხადჰყოფენ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალასა და ძლიერებას.

არჩევნების შედეგებში ასახულია საბჭოთა ხალხის ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი სიყვარული და ერთგულება თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი. (ტაში).**

ამომრჩეველთა კრებაზე ამხანაგი **სტალინი** ისტორიული სიტყვით გამოვიდა და საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლის გრანდიოზული პროგრამა გადაუშალა ჩვენს ხალხს.

ყველა მშრომელნი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ბაყვარელი ბელადის სიტყვას, თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს პარტიის გეგმა.

სოციალისტური მეურნეობის განვითარების სტალინური პროგრამა შეესაბამება ხალხის ინტერესებს, აღაფრთოვანებს მილიონობით ადამიანს თავდადებული შრომისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვების მოსაპოვებლად ბრძოლისათვის.

ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასი უკვე შეუდგა საბჭოთა ინდუსტრიის განვითარების სტალინური პროგრამის განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები მეტალურგთა და მეფოლადეთა, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშაკთა, მანქანათმშენებელთა, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა შესანიშნავი საწარმოო მიღწევების შესახებ.

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები საყვარელი ბელადის სიტყვის პასუხად მთელ ძალებს ახმარენ საკოლმეურნეო მეურნეობის აღდგენას, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, რათა უკვე მომდინარე წელს მისცენ ჩვენს ქვეყანას კვების მნიშვნელოვნად მეტი პროდუქტები მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის.

მთელ ხალხთან ერთად ახალ დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი საბჭოთა ინტელიგენციამ. ახლანდელი უმაღლესი ტექნიკისა და წარმოებაში მეცნიერების ფართოდ გამოყენების ჩვენს დროში ძალიან დიდია საბჭოთა ინტელიგენციის როლი.

ამხანაგმა სტალინმა რწმენა გამოსთქვა, რომ ჩვენი მეცნიერები შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს ხანში კიდეც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სტალინური გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება ხალხის მთელი ძალების უდიდესი დაძაბვა.

მაგრამ განა როდისმე შეუჩერებია სიძნელეებს ჩვენი გმირი მუშათა კლასი, ჩვენი შესანიშნავი კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი შრომისმოყვარე და ნიჭიერი საბჭოთა ინტელიგენცია?

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, ისინი დასძლევენ ყველაზე ძნელ ამოცანებს და ახალი გამარჯვებებით ასახელებენ ჩვენს სამშობლოს.

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის ოცდახუთი წლის განმავლობაში სამეურნეო და კულტურული განვითარების სახელოვანი გზა გაიარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლის იუბილეს დღეს ვუსურვებ საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთ, მის მთავრობას და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომ განვითარებასა და აყვავებაში. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ქართველი ხალხი კვლავაც განამტკიცებს ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ძლიერებას. **(ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს და ურღვევ მეგობრობას! **(ტაში).**

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)—ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ **სტალინს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

გ. თ. სტურუა

კ. ნ. ჩარკვიანი

ვ. მ. ბაძრაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ გ. თ. სტურუას
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. მ. ბაძრაძეს
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 25 წლისთავზე საბჭოთა აზერბაიჯანის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ მოძმე ქართველ ხალხს.

მეოთხედი საუკუნის წინათ საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს რეაქციული მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოძმე მზიური საქართველო სავსებით გარდაიქმნა. სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელების შედეგად საქართველოს სს რესპუბლიკა გადაიქცა ჩვენი დიდი კავშირის ერთ-ერთ მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად. უკანასკნელ ხანს მარგანეცისა და ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად გადიდებამ, მძლავრი ელექტროსადგურების ამუშავებამ, მრეწველობის ახალი დარგების—მანქანათმშენებლო, ქიმიური, შაქრის და სხვა დარგების შექმნამ ძირიანად გარდაჰქმნა რესპუბლიკის ეკონომიკა; უდიდესი მეტალურგიული კომბინატი და საავტომობილო ქარხანა, რომლებიც ამჟამად შენდება, გადააქცევენ საბჭოთა საქართველოს მთელი ამიერკავკასიის მძლავრ ინდუსტრიულ ბაზად.

ასრულებდა რა დიდი სტალინის მითითებებს, საბჭოთა საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ დიდ წარმატებებს მიაღწია ისეთი უაღრესად ძვირფასი კულტურების განვითარებაში, როგორიც არის ჩაი და სუბტროპიკები, რომლებითაც წლითიწლობით სულ უფრო უხვად მარაგდება ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ქართველმა ხალხმა თავისი უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი კულტურის შემდგომ განვითარებასა და საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების გამოზრდაში. ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა ჩვენს ქვეყანას მისცა მრავალი უდიდესი რევოლუციონერი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

საბჭოთა ხალხები განსაკუთრებით მადლიერნი არიან ქართველი ხალხისა, რომელმაც კაცობრიობას მისცა უკვდავი ლენინის საქმის დიდი განმგრძობი, ჩვენი ბელადი და მასწავლებელი მშობლიური იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

აზერბაიჯანელი ხალხი ბედნიერია და ამაყობს იმით, რომ ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა ბაქოს და აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაცია და ზრდიდა მას სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლებში.

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინის ერთგული მეგობრისა და უახლოესი თანამებრძოლის ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელთან. ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით ამიერკავკასიაში ძლიერებულ და განადგურებულ იქნენ ხალხის მტრები, უზრუნველყოფილ იქნა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სტალინური გეგმის წარმატებით შესრულება. ამხანაგი ბერია დაუღალავად განამტკიცებდა ხალხთა მეგობრობას, სტალინურ ტრადიციებზე ზრდიდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს და რაზმავდა მათ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო. დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე დღეებში ამიერკავკასიის ბოლშევიკები, ასრულებდნენ რა დიდი სტალინის მითითებებს, ამხანაგ ბერიას პირადი ხელმძღვანელობით, რაზმავდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელ ძალებსა და საშუალებებს გერმანელთა ურდოების კავკასიონის მთის კალთებზე გასანადგურებლად.

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის დღესასწაული აღინიშნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დიდი გამარჯვების ვითარებაში. ეს კიდევ უფრო აღაფრთოვანებს და რაზმავს ქართველი ხალხის მთელ შემოქმედებითს ძალებს რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭო და აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უსურვებენ მოძმე ქართველ ხალხს ახალ სახელოვან წარმატებებს სტალინური გეგმის შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
გაუმარჯოს მოძმე ქართველ ხალხს!
გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს —ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!
გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!
გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ბელადს, მასწავლებელსა და მამას დიდ სტალინს!

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ბ. ყასუმოვი
აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. ყულიევი
აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ჯ. ბაბიროვი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს.

განვლილ ოცდახუთ წელიწადში საქართველომ თავისი განვითარების სახელოვანი გზა გამოიარა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, საქართველო აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

საქართველოში შექმნილია უაღრესად განვითარებული მრეწველობა, აგებულია მძიმე, მსუბუქი, კვების მრეწველობის ასობით ახალი საწარმო. დიდი წარმატებებია მიღწეული სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველჰყვეს ძვირფასი კულტურების — ციტრუსების, ჩაის, ვაზის, თამბაქოს და სხვა კულტურების ფართო განვითარება. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. რესპუბლიკაში შეიქმნა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, თეატრების, მუზეუმების ფართო ქსელი. შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს შუსკამ და ლიტერატურამ ფართოდ გაითქვეს სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ომში ქართველმა ხალხმა მაღალი პატრიოტიზმი გამოიჩინა და დიდი წვლილი შეიტანა მტერზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მოპოვების საქმეში.

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო რწმენას გამოსთქვამენ, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები, აღფრთოვანებულნი ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი განვითარების სტალინური პროგრამით, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოახმარენ რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აყვავებას და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად დაუღალავად განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მომწყობი კომისიის თავმჯდომარეს

მხურვალედ მივესალმები და ვულოცავ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთ სახელოვანი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავს.

ქართველმა ხალხმა მთელ საბჭოთა ხალხთან მჭიდრო თანამეგობრობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ფაშისტ აგრესორებზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების საერთო საქმეში. მისი საუკეთესო შვილები მამაცურად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ზურგის მშრომელებმა დაგვანახვეს უმაგალითო შრომითი გმირობა და მუშაობაში ორგანიზებულობა.

შესანიშნავი იუბილეს დღეს კიდევ უფრო მეტ შრომითს წარმატებებს ვუსურვებ საქართველოს მშრომელთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს!
გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორს!

გაუმარჯოს გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს დიდ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს სტალინს!

არტილერიის მთავარი მარშალი ვორონოვი

სამშობლო — საქართველოს!

იხარე სამშობლოვ, გმირი და მშრომელი
ქართველი მარად შენს დარაჯად დგას!
შენ შობე შენივე დიდების მშობელი,
რომელიც ყველა ხალხს უნათებს გზას!

ილო მოსაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესია

მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** მოხსენება

ამხანაგებო!

დღეს მთელი ქართველი ხალხი განსაკუთრებული სიხარულით დღესასწაულობს ხაციონალური და სოციალური ჩაგვრისაგან თავისი განთავისუფლების 25 წლისთავს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რომლებსაც დიდი რუსი ხალხი დაეხმარა სახელოვანი წითელი არმიის სახით, ბოლო მოუღეს გამყიდველი მენშევიკური მთავრობის სამ წლის ბატონობას და დაამყარეს საბჭოთა წყობილება.

ამ ღირსშესანიშნავი დღიდან გადაიშალა ქართველი ხალხის ახალი ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი. საქართველოს ახალი აღორძინების ამ უდიდეს დღესასწაულს წელს ჩვენ ვხვდებით ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა ხალხებს საშუალება მიეცათ კვლავ დაუბრუნდნენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, დასავლეთში გერმანიის ფაშიზმისა და აღმოსავლეთში აგრესიული იაპონიის სრული განადგურების შემდეგ, რაც ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ განახორციელა ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით. (ტაში).

თავისი ზეიმის დღეს ქართველი ხალხი უსაზღვრო მადლობისა და სიყვარულის პირველი სიტყვებით მიმართავს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს გენიალურ ბელადს — საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხების მხსნელს — დიდ **სტალინს**. (ტაში).

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის მრავალ ბრწყინვალე ფურცელს შეიცავს.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ახლანდელი ქართველების წინაპრებს—ხეთურ-იბერული ჯგუფის ხალხებს უდიდესი ტერიტორია ეჭირათ წინა აზიაში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათეულ საუკუნეებში ქართველთა წინაპრებმა საფუძველი ჩაუყარეს უძლიერეს სახელმწიფოებს — ურარტუს, კოლხიდასა და იბერიას.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ცალკეული სამთავროები და სამეფოები გაერთიანდნენ და შეჰქმნეს საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც ყველაზე მეტ აღმავლობას მიაღწია მე-12 საუკუნეში, როცა საქართველო მძლავრი სახელმწიფო გახდა და თავისი ტერიტორიას ფლობდა წინა აზიაში.

ქართველებს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ კარგად განვითარებული ეკონომიკა და მაღალი კულტურა. საკმარისია ითქვას, რომ ქართული ანბანი და დამწერლობა ქრისტიანობის ხანის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა.

ქართველმა ხალხმა, რომელიც განუწყვეტლივ ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა, მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში დაიცვა თავისი ფიზიკური არსებობა და საუკუნეებში გამოატარა თავისი ძველი ენა და თავისი ძველი კულტურა.

ბიზანტიელთა, რომაელთა, სპარსელთა, მონღოლთა, თურქთა აურაცხელმა ურდოებმა ვერ შესძლეს საქართველოს მოსპობა. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს, ნანგრევებიდან სდგებოდა და თავისი ტერიტორიიდან მიერეკებოდა პირისსახლიან დამპყრობლებს.

საუკუნეების განმავლობაში წარმოებულმა განუწყვეტელმა გამანადგურებელმა ომებმა თანდათანობით დაასუსტეს საქართველოს სახელმწიფო და კვლავ გამოიწვიეს მისი დაშლა ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებად და სამთავროებად.

სრული მტრული გარემოცვის პირობებში, როცა მოსახლეობის მხრივ საქართველო შედარებით მცირე ქვეყანა იყო, მას, გმირულ ღონისძიებათა მიუხედავად, მარტო არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია გაცილებით უფრო ძლიერი გარეშე მტრებისათვის, და ამიტომ ქართველი ხალხი მორიგ წარსულშივე ეძებდა თავის ისტორიულ გზაზე ჭეშმარიტ თანამოძმეს, რომელიც მას დახმარების ხელს გამოუწოდებდა. ჩვენი წინაპრების თვალი ძველთაგანვე მიპყრობილი იყო დიდი ერთმორწმუნე მეზობლის — რუსეთისაკენ, რომელიც კულტურულად ყველაზე უფრო ახლო იდგა საქართველოსთან და წარმოადგენდა ერთადერთ პროგრესულ ძალას, რომელსაც შეეძლო ეფექტური სამხედრო დახმარება გაეწია საქართველოსათვის გარეშე მტრების წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეები გამსჭვალული იყვნენ რუსებისადმი ურყევი ნდობით და საკმაოდ ბევრი იმუშავეს რუსეთთან კავშირის დასამყარებლად.

რუსეთთან ურთიერთობა საქართველომ ჯერ კიდევ პეტრე დიდის ეპოქაში დაამყარა. უფრო გვიან, როცა საქართველოს წინაშე მწვავედ დადგა კითხვა შაჰის ირანის ან სულთანის თურქეთის მიერ შთანთქმული ყოფილიყო თუ რუსეთის პროტექტორატი მიეღო, 1783 წელს საქართველოს მეფე ერეკლე მეორემ რუსეთის დედოფალ ეკატერინე მეორესთან დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველომ მიიღო რუსეთის პროტექტორატი საგარეო პოლიტიკაში და ამავე დროს შეინარჩუნა დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სპარსეთის შაჰმა მაშინ საქართველო, კერძოდ ქალაქი თბილისი, საშინლად აიკლო.

1801 წლის თებერვალში—სწორედ 145 წლის წინათ იმპერატორმა პავლემ საქართველო რუსეთის ტერიტორიის ნაწილად გამოაცხადა და, ამგვარად, მოსპო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა.

რუსეთთან შეერთების მომენტიდან გაჰქრა ქართველი ხალხის ფიზიკურად მოსპობის საფრთხე, მაგრამ საქართველოს მშრომელები რუსეთის ცარიზმისა და ქართველი თავადების ორმაგ ჩაგვრაში ჩავარდნენ. ქართველი თავადები, აზნაურები და მემამულეები რუსეთის ცარიზმის ერთგული მსახურნი იყვნენ. თავის მხრივ ცარიზმი, რომელიც თავადებს, აზნაურებს მემამულეებს ეყრდნობოდა და მათ ყოველნაირად უწყობდა ხელს მასების ექსპლოატაციისა და გაყვლეფის საქმეში, ცდილობდა განემტკიცებინა თავისი ბატონობა საქართველოში.

როგორც ცნობილია, ცარიზმის პოლიტიკა მდგომარეობდა დამონებულ ეროვნებათა რუსიფიკაციასა, უმოწყალო ჩაგვრასა და ექსპლოატაციაში.

სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხზე“, რომელიც გაზეთ „პრავდის“ 1920 წლის 10 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა, — ამხანაგი **სტალინი** სწერდა:

„ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა მასები. ცარიზმი განზრახ ასახლებდა განაპირა ქვეყნების საუკეთესო კუთხეებში კოლონიზატორულ ელემენტებს იმისათვის, რომ უფრო ცუდ რაიონებში განედევნა ადგილობრივი მკვიდრნი და გაეძლიერებინა ნაციონალური შუღლი. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ სიბნელეში ჰყოლოდა მასები. ცარიზმი სპობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ახშობდა განაპირა ქვეყნების ხალხის ყოველგვარ აქტივობას“.

ჩვეულებრივი კოლონიური ქვეყნის პირობებში ქართველები სასტიკად ექსპლოატირებული უუფლებო ხალხის ხვედრს განიცდიდნენ. საქართველოს მშრომელები სისტემატურად იბრძოდნენ ქართველ მემამულეთა მხრივ ექსპლოატაციისა და მეფის თვითმპყრობელობის მოხელეთა ძალადობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გლეხთა დიდი აჯანყებები ხდებოდა საქართველოს ყველა ძირითად რაიონში.

მეფის რუსეთის სატრაპები, ადგილობრივ თავადებთან და მემამულეებთან ერთად, ხვრეტდნენ, ახრჩობდნენ და კატორღაში გზავნიდნენ აჯანყებულ გლეხებს, აჯანყებულ სოფლებს ანადგურებდნენ, სწვავდნენ, ხოლო მათს ბაღებსა და ვენახებს სულერთიანად სჩეხავდნენ.

იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ცდილობდა ნაციონალური შუღლი გაეღვივებინა ამერკავკასიის ხალხებს შორის, რუსეთისა და საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლები ერთმანეთს შორის ინტერნაციონალურ კავშირს ამყარებდნენ.

XIX საუკუნის დამლევისათვის, როცა **ლენინის** დიადი იდეები რუსეთის პროლეტარიატს ეუფლებოდა, საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო, მოწინავე წარმომადგენლებმა, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წითელი დროშა ააფრიალეს.

რევოლუციის გარიჟრაჟზე დიდმა **სტალინმა** საფუძვლები ჩაუყარა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელ ხალხს ეროში მოჰქონდა ცარიზმზე და თავისი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების — ქართველი თავადების, აზნაურების, მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდა.

1901 წელს ქალაქ თბილისის ქუჩებში ამხანაგ **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატმა კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას და მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყო.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველივე დღეებიდან განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ **სტალინის** მუშაობასთან და სახელთან“. (ტაში). (ლ. პ. **ბერია** — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 7).

განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოდნენ საქართველოს მშრომელი მასები თავისი განთავისუფლებისათვის: 1902-1905 წლებში თითქმის მთელ საქართველოს მოედო გლეხთა აჯანყებანი და მუშათა გაფიცვები.

რუსეთის მოწინავე პროლეტარიატი მხურვალედ მიესალმა მაშინ და დახმარებას უწევდა საქართველოს და კავკასიის მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 1905 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) III ყრილობამ აღნიშნა, რომ თვითმპყრობელური მთავრობა ჯარებსა და არტილერიას გზავნის გურიაში და აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უმოწყალო განადგურებას ამზადებს, რის გამო პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა მეღოთ უაღრესად ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებისათვის ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, ჯგუფური საუბრების გზით, აგრეთვე დროზე გაეწიათ კავკასიისათვის დახმარება მათს განკარგულებაში არსებული მთელი საშუალებებით.

მეფისდროინდელი მძიმე არალეგალობის წლებში, კლასობრივ მტერთან და მათს დამჭაშებთან — მენშევიკებთან შეუპოვარ ბრძოლებში საქართველოს ბოლშევიკებს, რომელთაც აღფრთოვანებდა და რაზმავდა ამხანაგი **სტალინი**, მაღლა ეჭირათ რევოლუციის წითელი დროშა და თავის გარშემო რაზმავდნენ საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ყველა რევოლუციურ ელემენტებს.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — ქართველმა მენშევიკებმა დასავლეთის იმპერიალისტთა დახმარებით შესძლეს ხელთ ეგდოთ ძალაუფლება და გადაექცათ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად.

მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა ამიერკავკასიაში შეჰქმნეს პლაცდარმი დასავლეთის ინტერვენტებისა და რუსეთის კონტრრევოლუციისათვის.

მენშევიკებმა არათუ განთავისუფლება არ მოუტანეს საქართველოს მშრომელ მასებს, არათუ რაიმე სამეურნეო და ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას ვერ მიაღწიეს, არამედ, პირიქით, საბოლოოდ მოამზეს ამ ქვეყნის ისედაც უძლური სამეურნეო ცხოვრება.

უკვე 1920 წლის დამლევისათვის მენშევიკთა ხელმძღვანელები იძულებული იყვნენ თვითონვე ეღიარებინათ, რომ ეკონომიურად საქართველო მათ სრულ კატასტროფამდე მიიყვანეს.

მენშევიკთა გამყიდველურ პოლიტიკას მშრომელები უპასუხებდნენ გაბუნტებით და მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციებით.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების საფუძველზე, ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და ეროვნულ-კულტურული მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად დიდი **სტალინის** სისტემატური დახმარების შედეგად, საქართველო რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონიიდან, „რუსეთზე კიდევ უფრო გლეხური ქვეყნიდან“ (**ლენინი**) საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გადაიქცა განვითარებული მრეწველობის ქვეყნად, მოწინავე სოფლის მეურნეობისა და მაღალი კულტურის ქვეყნად.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კაპიტალური რემონტისა და ლიმიტგარეშე დანახარჯების სახსრებთან ერთად, 9 მილიარდ მანეთს აღემატება.

ახალი საწარმოების ფართო მშენებლობასთან და მრეწველობის სრულიად ახალი დარგების შექმნასთან ერთად, სავსებით რეკონსტრუირებულ იქნენ ძველი საწარმოები, რომლებიც მენშევიკების დროს უბადრუკ მდგომარეობაში იყვნენ.

განვლილი 25 წლის მანძილზე აშენებულია მსხვილი მრეწველობის 1.038 საწარმო. ამასთან მარტო უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში მსხვილი მრეწველობის საწარმოების ძირითადი საშუალებანი გაიზარდა 33-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო საერთო პროდუქციის ღირებულება — 15-ნახევარჯერ.

ქვანახშირის, მარგანეცის, მანქანათმშენებლობისა და ნავთის მრეწველობის უდიდეს განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განვითარდა კვების, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა.

საქართველოს საფეიქრო, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების საერთო პროდუქცია უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში გადიდდა 16-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო კვების მრეწველობის პროდუქცია — 31-ჯერ.

საქართველოს მრეწველობის სწრაფ ზრდას შემდეგი მონაცემებიც მოწმობენ:

1927-1928 წლებთან შედარებით, ქვანახშირის მოპოვება 1945 წელს გაიზარდა შვიდნახევარჯერ და უფრო მეტად, მარგანეცის მოპოვება—თითქმის ერთიხუთად, ყაჩის გამომუშავება — ორნახევარჯერ, შალის ქსოვილების გამომუშავება—თითქმის 12-ჯერ, აბრეშუმისა და აბრეშუმნარევი ქსოვილებისა — 69-ჯერ და უფრო მეტად, ფეხსაცმლის გამომუშავება 11-ჯერ და უფრო მეტად, საკონსერვო მრეწველობის პროდუქციის გამოშვება — 36-ჯერ, ჩაის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება — 54-ჯერ. ნავთის მოპოვება 1945 წელს, 1932 წელთან შედარებით, 12-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს უდიდესმა ჰიდროენერგეტიკულმა რესურსებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰპოვეს დიდი გამოყენება.

1913 წელთან შედარებით, ელექტროსადგურების სიმძლავრე 1945 წელს გაიზარდა 23-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება თითქმის 39-ჯერ გადიდდა.

შენდება და უახლოეს წლებში ამუშავდება ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები — ბრამჰესი, სოხუმჰესი და ჩითახევჰესი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ რამდენადმე შევანელოთ ელექტროენერგიის ნაკლებობა.

წარმატებით ვითარდება რკინიგზის ტრანსპორტი. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აშენებულია რკინიგზის 600 კილომეტრამდე ნორმალური ლიანდაგი. მთავრდება კიდევ ერთი რკინიგზის მშენებლობა. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით შენდება ახალი რკინიგზები საქართველოს ნავთისა და ქვანახშირის საბადოებისაკენ — კაჭრეთ-მირზაანისა და კვეზანა-კარმარისა.

დიდი მუშაობა ჩატარდა გზატკეცილებისა და გაუმჯობესებული გზების მშენებლობის დარგში.

1913 წელთან შედარებით, ფოსტა-ტელეგრაფის საწარმოთა რაოდენობა 1944 წელს ერთნახევრად გადიდდა, ხოლო რადიოსატრანსლაციო კვანძების რაოდენობა ერთისამად და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა 1932 წელთან შედარებით.

საქართველოს გაზრდილი მუშათა კლასი წარმატებით ეუფლება საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი მრეწველობის რთულ ტექნიკას, ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებასა და მუშაობის სტახანოვურ მეთოდებს, განუხრელად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და თავისი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით და გადაჭარბებით ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს დავალებებს.

დიდი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში.

საბჭოთა მთავრობის და პირადად ამხანაგ **სტალინის** უდიდესი სისტემატური დახმარებით საქართველო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მეტად ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების ქვეყანა გახდა.

უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში საერთო ნათესი ფართობი 80 პროცენტით გაიზარდა, ამასთან მარტო უკანასკნელი 12 წლის მანძილზე მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 22 პროცენტით გადიდდა.

1923 წელთან შედარებით, ტექნიკური კულტურების ფართობი 1945 წელს 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესები ერთიოთხად და კიდევ უფრო მეტად გადიდდა.

ამხანაგ **სტალინის** პირადპირი მითითებით და ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩატარდა მეტად ძვირფასი სუბტროპიკული და სპეციალური კულტურების—ციტრუსების, ჩაის, თამბაქოს, გერანის, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მეცადინეობით საქართველო საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული მეურნეობის მძლავრი ბაზა გახდა.

სერიოზული წარმატებები გვაქვს ამხანაგ **სტალინის** იმ დავალების შესრულების საქმეში, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ქართული ჩაით.

ჯერ კიდევ 1921 წელს ჩვენ ჩაის ხოლოდ 1.017 ჰექტარი პლანტაცია გვქონდა, ახლა კი 51.532 ჰექტარი გვაქვს. საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად იღებს ჩვენი ჩაის პლანტაციებიდან ათიათასობით ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს.

საქართველოს მრავალი ჩაის ფაბრიკა საბჭოთა კავშირს ამარაგებს მაღალხარისხოვანი ბაიხაოს ჩაით, რომელიც სრულიადაც არ ჩამოუვარდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთულ ჩაის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და პირადად ამხანაგი **სტალინი** განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩვენი ციტრუსოვანი მეურნეობისადმი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1932 წელს ციტრუსოვან კულტურებს საქართველოში ეჭირათ მხოლოდ 2.000 ჰექტარი, ახლა კი 18.000 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები გვაქვს.

მაგრამ ჩვენ ვერ შევასრულეთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება, რომლის მიხედვითაც ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 1944 წლის დამლევისათვის 40 ათას ჰექტარამდე უნდა აგვეყვანა.

ომიანობის წლებში ჩვენ იძულებული ვიყავით თითქმის სავსებით შეგვეწყვიტა ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენება და, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშახელის მწვავე ნაკლებობის გამო, მთელი ყურადღება არსებული ნარგავების შენარჩუნებისათვის მიგვეპყრო.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, 1941-1942 წლის ზამთარში, კატასტროფული ყინვების შედეგად, დაიღუპა ციტრუსოვანთა დიდძალი ნარგავი.

ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსების მდგომარეობაზე აგრეთვე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ ომიანობის დროს სავსებით შესწყდა მინერალური სასუქის შემოზიდვა.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 16 თებერვლის ახალი დადგენილებისა «საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ», რომელიც შემუშავებულია ამხანაგ **სტალინის** პირადი მითითებით, ჩვენ მოვალენი ვართ 1950 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა კულტურების ფართობი ავიყვანოთ 29.000 ჰექტარამდე და ამასთან დიდი ყურადღება მივაქციოთ ფორთოხლისა და ლიმონის ფართოდ განვითარებას.

საქართველოს ბოლშევიკები ყოველი ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ წარმატებით და ვადამდე შეასრულონ ამხანაგ **სტალინის** ეს სერიოზული დავალება. (ტაში).

ჩაისა და ციტრუსებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი მასშტაბებით ვითარდება საქართველოში სუბტროპიკული ნაყოფი — ხურმა, ფეიხოა, მუშმალა და სხვა.

წინათ საქართველოში ტუნგოს ნარგავები არ ყოფილა, ამჟამად ტუნგოს 13.000 ჰექტარზე მეტი პლანტაცია გვაქვს.

როგორც ცნობილია, საქართველოს საწარმოებში გამომუშავებულმა ტუნგოს ზეთმა სერიოზული როლი შეასრულა ომიანობის დროს იმ მხრივ, რომ უზრუნველგვეყო საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საწარმოთა მოთხოვნილება.

მარტო უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში ბამბუკის პლანტაციები თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. უახლოესი 5 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაშენოთ 3.000 ჰექტარზე მეტი ბამბუკის ახალი პლანტაციები.

ომიანობის წლებში ჩვენი ბამბუკის პლანტაციებიდან წითელი არმიის მეთხილამურენი დიდძალ სათხილამურე ჯოხებს იღებდნენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა დაფნის პლანტაციები. როგორც ცნობილია, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც კეთილშობილი დაფნის ფოთლით ამარაგებს საბჭოთა კავშირს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ისეთი ძვირფასი ხის ნარგავების განვითარებას, როგორიცაა ევკალიპტი. 28 მილიონამდე ძირი ევკალიპტი გაშენდა 1942 წლამდე. მაგრამ, ძლიერი ყინვების შედეგად, აგრეთვე სათანადო მოვლის უქონლობის გამო, ევკალიპტის უმეტესი ნაწილი დაიღუპა და ახლა ჩვენ 7 მილიონზე ცოტა მეტი ძირი ევკალიპტი გვაქვს.

ჩვენს წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — უახლოესი 5 წლის განმავლობაში ავიყვანოთ ევკალიპტის ხეების რაოდენობა 28 მილიონ ძირამდე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სერიოზულად განვითარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგი — მეფუტკნეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოფხვრა ფილოქსერისაგან ვენახების მოსპობის საფრთხე და უზრუნველჰყო მათი შემდგომი ზრდა.

1932 წელთან შედარებით, ვენახების ფართობა 1945 წელს ერთნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. მარტო უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში 24 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი გაშენდა.

საქართველო საბჭოთა კავშირს ამარაგებს მეღვინეობის საუკეთესო, მაღალხარისხოვანი პროდუქციით, კერძოდ, საბჭოთა შამპანურით.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გაშენებულია ხეხილის 11.000 ჰექტარამდე ახალი ბაღი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები საქართველოდან იღებენ ყველაზე მაღალხარისხოვან ხილს.

ერთგვარი შედეგები გვაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

1945 წელს საქართველოს მეაბრეშუმეებმა გეგმა შეასრულეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 25 ათას ცენტნერამდე კარგი ხარისხის პარკი.

ამხანაგ სტალინის მითითებით გაყვანილია მთელი რიგი ახალი დიდი სარწყავი არხები, რომელთა შედეგადაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სარწყავი მიწების ფართობი საქართველოში სამნახევარჯერ და უფრო მეტად გაიდიდა, შენდება ახალი დიდი სარწყავი არხები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ათასობით ჰექტარი ახალი მიწების მორწყვას.

ფართო ფრონტით განახლდა კოლხიდის დაბლობის ნაყოფიერი მიწების ამოშრობის სამუშაოები, რაც ომიანობის დროს შეწყვეტილი იყო.

მომდინარე წელს კვლავ უნდა შევუდგეთ ზემო-სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობას, რაც ომთან დაკავშირებით შეჩერებული იყო. ამ სერიოზულ ნაგებობას განსაკუთრებული ეხშიშველობა ექნება ბამბის სათესი ფართობების გადიდების საქმეში, აგრეთვე სამრეწველო მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის ქალაქ თბილისის მომიჯნავე რაიონებში.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად განხორციელების საფუძველზე, ჩვენ კარგ შედეგებს მივაღწიეთ ყოველგვარი სახის პირუტყვის სულადობის ზრდისა და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდების საქმეში.

1923 წელთან შედარებით, 1944 წელს პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გაგიდდა: ცხენისა—თითქმის 13 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—თითქმის 32 პროცენტით, ღორისა — 23 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—114 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობის საქმეში ყველა ამ წარმატებას ქართველმა ხალხმა მიაღწია საკოლმეურნეო წყობილების შექმნისა და განმტკიცების საფუძველზე.

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესია

მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** მოხსენება

(გაგრძელება)

საქართველოს კოლმეურნეობებმა, რომლებიც 455 ათასზე მეტ მეურნეობას აერთიანებენ, ღირსეულად გაუძლეს ომის მძიმე განსაცდელს და გააგრძობდნენ ზრდასა და განმტკიცებას.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1944 წელს, 1932 წელთან შედარებით, გაიზარდა 29-ჯერ, ხოლო კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულება ამავე პერიოდში 15-ჯერ გადიდდა.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მილიონერ კოლმეურნეობათა რაოდენობა 20-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. გადიდდა კოლმეურნეობათა ნატურალური შეძლისავალი, გაიზარდა შრომადღის ღირებულება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

თუ 1932 წელს ყოველმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საშუალოდ 72 შრომადღე გამოიმუშავა, 1944 წელს თვითეულმა კოლმეურნემ საშუალოდ გამოიმუშავა 145 შრომადღე. ათასობით კოლმეურნეს წლიურად 300—500 და მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

1928 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში იყო 37 საბჭოთა მეურნეობა, ახლა კი გვაქვს 75 საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი—13-ჯერ.

საქართველოს 1.500-მდე კოლმეურნეობას მომსახურებას უწევენ 60 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. სატრაქტორო ბრიგადების 3.600-მდე ბრიგადირი, ტრაქტორისტი, კომბაინერი, შოფერი და მექანიკოსი მუშაობს ჩვენს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში ჩატარებული უდიდესი მუშაობა წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების და გლეხობისათვის საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის გამოხატულებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართველი ხალხის კულტურის—ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება.

საქართველო დიდი ხანია გახდა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების რაოდენობა გადიდდა თითქმის ერთისამად, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა—ერთისამად და უფრო მეტად. ამჟამად საქართველოს დაწყებითს, არასრულ საშუალო, აგრეთვე საშუალო სკოლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 659 ათასზე მეტი მოსწავლე.

საბჭოთა ხელისუფლებამ ააშენა 2.000-მდე ახალი სასკოლო შენობა და საბავშვო ბაღების სახლები. საქართველოს დაწყებითს, არასრულ საშუალო, აგრეთვე საშუალო სკოლებსა და ტექნიკუმებში 41.570 პედაგოგი მუშაობს.

ცნობილია, რომ ცარიზმის დროს საქართველოში არც ერთი უმაღლესი სკოლა არ ყოფილა. მენშევიკების დროს კერძო ინიციატივით შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც თითქმის არავითარი მატერიალური უზრუნველყოფა არ გააჩნდა და უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაიშალა უმაღლეს სასწავლებელთა ფართო ქსელი. ამჟამად ჩვენ გვაქვს 20 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 22 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობს 2.800-მდე პროფესორი და მასწავლებელი. საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის განმავლობაში გამოუშვეს უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა სპეციალობის 36 ათასი ახალგაზრდა—ინჟინრები, ეკონომისტები, აგრონომები, ექიმები, იურისტები, ხელოვნების მუშაკები და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მოეწყო 95 სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება და რამდენიმე ათეული მუზეუმი.

სამამულო ომის მძიმე წლებშიც კი ხდებოდა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა გაფართოება.

ხუთი წლის წინათ საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოს მეცნიერებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს და მნიშვნელოვანი შრომებით გაამდიდრეს ჩვენი მეცნიერება.

საქართველოს მოსახლეობას მომსახურებას უწევს მასობრივი ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებების ფართო ქსელი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე საქართველოში გამოიცა რამდენიმე ათეული მილიონი წიგნი.

რამდენიმე მილიონ ცალად გამოვიდა ქართულ ენაზე **მარქსის, ენგელსის, ლენინისა** და **სტალინის** ნაწარმოებები.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მოაწყო კინომრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ აშენებულმა საქართველოს კინოფაბრიკამ 25 წლის განმავლობაში გამოუშვა 120 სრულმეტრაჟიანი მხატვრული საბჭოთა კინოფილმი, რომელთაგან ბევრმა საბჭოთა საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღო.

კვლავ იზრდებიან საქართველოს მწერალთა, პოეტთა, მხატვართა, მოქანდაკეთა და არქიტექტორთა კადრები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ახალი ნაწარმოებები შესძინეს საბჭოთა კულტურას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა სათანადო განვითარების საშუალება ცარიზმის დროს დევნილ და მენშევიკების დროს საბოლოოდ გახრწნილ ქართულ თეატრს. ამჟამად მუშაობს 44 სახელმწიფო თეატრი, რომელთა შორის არიან ისეთი შესანიშნავი თეატრები, როგორც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის დრამატიული თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი და ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრი.

მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოს თეატრებმა 900-ზე მეტი ახალი დადგმა განახორციელეს.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მზრუნველობით გამოზრდილი საქართველოს მრავალრიცხოვანი ნიჭიერი ინტელიგენცია მთელ თავის ცოდნასა და ძალას ახმარს ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეს.

წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის განმავლობაში საექიმო-სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი თითქმის 7-ჯერ გადიდდა, ხოლო საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 6-ჯერ და კიდევ უფრო მეტად. საქართველოს მშრომელებს მომსახურებას უწევს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოშზადებული 4,5 ათასზე მეტი ექიმი.

ჩვენი ბავშვებისათვის გაშლილია საბავშვო ბაგების, რძის პროდუქტების სამზარეულოებისა და ჩვილ ბავშვთა სახლების ფართო ქსელი.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად 300 მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავს საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველო განსაკუთრებით მდიდარია კლიმატური და მინერალური კურორტებით. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში კურორტებზე აშენდა მთელი რიგი შესანიშნავი სანატორიუმები, საბაზანო შენობები და დასასვენებელი სახლები.

საქართველოს კურორტები, მათ შორის საკავშირო მნიშვნელობის ისეთი შესანიშნავი კურორტები, როგორიცაა წყალტუბო, აბასთუმანი, გაგრა, სოხუმი, მენჯი, ბორჯომი სამამულო ომის წლებში წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლებსა და ოფიცრებს ემსახურებოდნენ. ამჟამად კურორტები წესრიგზე მოგვყავს და უკვე მიმდინარე წლიდან საბჭოთა კავშირის ათიათასობით მშრომელს კვლავ ექნება საშუალება გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა ჩვენს კურორტებზე.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის დიდი ზრდა უდიდეს მოთხოვნებს უყენებს ჩვენს კომუნალურ-საბინაო მეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქალაქების კეთილმოწყობის დარგში.

ერთიხუთად გადიდდა იმ ქალაქების რაოდენობა, რომლებსაც წყალსადენები აქვთ, ერთიოთხად გაიზარდა წყალსადენის განმანაწილებელი ქსელის სიგრძე, 14-ჯერ გადიდდა ქალაქის მოსახლეობისათვის წყლის საშუალო-სადღეღამისო მიწოდება, ორნახევარჯერ გადიდდა საკანალიზაციო ქსელის სიგრძე, აშენდა მთელი რიგი ახალი აბანოები და რამდენიმე სასტუმრო, ერთიორად გადიდდა ტრამვაის ლიანდაგების სიგრძე და ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა ტრამვაის ვაგონების რაოდენობა.

აშენდა 200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი, გაყვანილია ახალი ქუჩები, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ძველი ქუჩები, მოასფალტებულია მთელი რიგი ქუჩები.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობაზე ასობით მილიონი მანეთი დაიხარჯა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილებებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მხრივ.

ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ომიანობის დროს ქალაქთა კეთილმოწყობის სამუშაოები შეწყვეტილი ანდა შეკვეცილი იყო, ცხადია, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა ჩავატაროთ საქალაქო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

მშრომელთა კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას, მათი კეთილდღეობის ზრდას და ჩვენი ხალხისათვის საბჭოთა ხელისუფლების მუდმივ მზრუნველობას მოწმობენ კიდევ შემდეგი მაჩვენებლები:

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობაში 17 პროცენტით გადიდდა, ამავე დროს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი ერთიოთხად და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი—ერთისამად და უფრო მეტად.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივ კვებასთან ერთად უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში 8-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

1945 წელს საქართველოს ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 1.026 მილიონი მანეთი, ნაცვლად 68 მილიონი მანეთისა 1931 წელს.

მიმდინარე წელს საქართველოს ბიუჯეტის ხარჯები მარტო მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის, ე. ი. პენსიებისა და დახმარებისათვის, 94 მილიონ მანეთს აღემატება.

უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში მრავალშვილიან დედებს მიეცათ 288 მილიონ მანეთზე მეტი დახმარება.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების საფუძველზე, მტკიცდება ძმური თანამეგობრობა საქართველოს ხალხებს შორის.

იფურჩქნება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და ხელოვნება აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ამხანაგებო! საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართველი ხალხის ახალი ეროვნული აღორძინება და გადააქცია საქართველო საბჭოთა კავშირის მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად.

სოციალიზმის მშენებლობის დარგში, ქართველი ხალხის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების აყვავების დარგში მიღწეულ ძოელ გრანდიოზულ წარმატებებს ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხების მხსნელს დიდ **სტალინს.** **(მჭუხარე ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ 25 წლის მანძილზე მეურნეობის, კულტურის, ხელოვნებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დარგში მიღწეული წარმატებანი კიდევ უფრო დიადი იქნებოდა, ჩვენს ქვეყანაზე გერმანიის ფაშიზმის უეცარ თავდასხმას იძულებული რომ არ გავეხადეთ შეგვეწყვიტა მშვიდობიანი სამშენებლო მუშაობა, სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე მიგვეტანა დ. მტრის გახადგურების საქმისათვის გამოგვეყენებინა მთელი ჩვენი ღონისძიებანი, ჩვენი შესაძლებლობანი და მატერიალური რესურსები.

ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

სასიკვდილო საფრთხის ჟამს, რაც თავს დასტრიალებდა საბჭოთა კავშირს, მთელი ქართველი ხალხი ერთსულოვნად აღსდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ქართველი ხალხის ასიათასობით მამაცი შვილი ომის პირველივე დღეებიდან წავიდა ფრონტზე და საბჭოთა კავშირის სხვა ძმაძმე ხალხების შვილებთან ერთად დიდი რუსი ხალხის მეთაურობით თავისი სისხლისა და სიცოცხლის ფასად იცავდა საბჭოთა სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას სამამულო ომის უზარმაზარ ფრონტზე შორეული მურმანსკიდან შავ ზღვამდე.

ქართველი ხალხის შვილები უსაზღვრო მამაცობით იბრძოდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის კარიბჭეებთან, სტალინგრადთან და იმიერპოლარეთში.

ქართველი ხალხის შვილთა სისხლით უხვად არის მორწყული ჩვენი საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა ბელორუსიის, საბჭოთა ყირიმის, ყუბანისა და ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიწა-წყალი.

უდიდესი ბედნიერება ხვდათ წილად დიდი რუსი ხალხის შვილს წითელარმიელ ეგოროვს და ქართველი ხალხის შვილს უფროს სერჟანტ ქანთარიას. ამ ორმა ვაჟკაცმა პირველად ააფრიალა გამარჯვების წითელი დროშა ბერლინში—რაიხსტაგის თავზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

პირისისხლიანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ მეომართა მრავალრიცხოვანი საგმირო საქმენი ბრწყინვალედ ადასტურებენ ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბოლშევიკური პარტიის საქმისა და დიდი **სტალინისადმი.**

სამამულო ომის დროს 110 ქართველ მებრძოლსა და ოფიცერს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, მათ შორის გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძეს, გენერალ-მაიორ ჯანჯღავას, გენერალ-მაიორ კობერიძეს, წყალქვეშელ კაპიტან იოსელიანს, მაიორ გოცირიძეს, პოდპოლკოვნიკ ზუმბურიძეს, პოლკოვნიკ ლესელიძეს, უფროს ლეიტენანტ გაბრიაძეს, უმცროს ლეიტენანტ ჯინჭარაძეს, უფროს სერჟანტ გამცემლიძეს, სერჟანტ კანკავას, წითელარმიელ გოგიჩაიშვილს.

სამამულო ომის პერიოდში წითელი არმიის 40 ათასზე მეტი ქართველი მებრძოლი და ოფიცერი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი ათასობით ქართველი ოფიცერი წარმატებით ხელმძღვანელობდა წითელი არმიის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მოქმედებას.

იმ ასიათასობით ქართველთან ერთად, რომლებიც ფრონტზე იმყოფებოდნენ წითელი არმიის საერთო ნაწილებში, სამამულო ომის მსვლელობაში დიდი **სტალინის** მითითებით შედგენილ იქნა რამდენიმე ქართული დივიზია. ამ დივიზიებმა **თავი ისახელეს** გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში და უჭკნობი დიდებით შემოსეს თავისი საბრძოლო დროშები.

საბჭოთა ადამიანებს დიდხანს ეხსომებათ სახელოვანი საბრძოლო საქმეები ანაპის 414-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიისა, რომელიც უმთავრესად ქართველებისაგან შესდგებოდა. ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის ამ დივიზიამ რამდენჯერმე მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** მადლობა.

იმ დროს, როცა ქართველი ხალხის ასიათასობით შვილი სიცოცხლეს არ ზოგავდა და სისხლს ღვრიდა ფრონტზე ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, აქ, ზურგში საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენცია და ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას წითელი არმიისათვის ყოველძრივი დახმარების უზრუნველყოფის საქმეს ახმარდნენ.

დიდი **სტალინის** მოწოდებით ჩვენ სწრაფად გარდავქმენით მთელი ჩვენი მუშაობა და მეურნეობის ყველა დარგი სამარ ყაიდაზე ფრონტისათვის მაქსიმალური დახმარების გასაწევად. საქართველოს მუშები თავისი გმირული შრომით ხელს უწყობდნენ წითელი არმიის გამარჯვებას. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნილი საქართველოს სამრეწველო საწარმოები წითელ არმიას ამარაგებდნენ დიდძალი საბრძოლო მანქანებით, საჭურველითა და საომარი მასალით.

საქართველოს საწარმოებში და ქართველი მუშების ხელით დამზადებული ასიათასობით ავტომატი, ათიათასობით ნაღმსატყორცნი, დიდძალი სხვადასხვა ყუმბარები, ნაღმები და გრანატები მონაწილეობდნენ პირისისხლიანი მტრის განადგურებაში.

ქართველი მუშების ხელით ამოღებულმა მილიონობით ტონა მარგანეცმა და ათიათასობით ტონა ფეროშენადნობმა, რაც საქართველოდან გაიგზავნა საბჭოთა კავშირის სამხედრო საწარმოებში, მონაწილეობა მიიღო იმ ზარბაზნების, ყუმბარების, ტანკებისა და თვითმფრინავების დამზადებაში, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ანადგურებდნენ.

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები წითელ არმიას აწვდიდნენ დიდძალ ტანსაცმელს და საინტენდანტო ქონებას.

საქართველოს კვების მრეწველობა წითელ არმიას და ქალაქების მოსახლეობას კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტებით ამარაგებდა.

ომიანობის დროის სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ომიანობის მთელი დროის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებებს.

ჩვენმა საკოლმეურნეო სოფელმა ღირსეულად გაუძლო ომის მძიმე განსაცდელს. მიუხედავად იმისა, რომ, წითელ არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობებში მუშახელი ნაკლები გახდა, სამშობლოს მხურვალე სიყვარული დაეხმარა საქართველოს კოლმეურნეებს ომიანობის დროის მთელი სიძნელეების წარმატებით გადალახვაში. დაუღალავად მუშაობდნენ ჩვენი კოლმეურნეები იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ წითელი არმიის მომარაგება კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობისა ნედლეულით.

ომიანობის წლებში საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 115 მილიონ ფუთამდე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული.

გარდა ამისა, 1944 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა დახმარების სახით გაუგზავნეს განთავისუფლებული რაიონების მოძმე კოლმეურნეებს 26 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

საბჭოთა მთავრობამ, ამხანაგმა **სტალინმა** მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაობას ომიანობის წლებში. ომიანობის რთულ პირობებში სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დავალების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის 500-ზე მეტი მუშაკი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ომიანობის წლებში დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს მედიცინის მუშაკებმა. ჩვენმა სამედიცინო დაწესებულებებმა ომის პერიოდში მომსახურება გაუწიეს წითელი არმიის ასიათასობით დაჭრილ მებრძოლსა და მეთაურს. წითელი არმიის ათიათასობით დაჭრილი მებრძოლნი და მეთაურნი მოთავსებული იყვნენ და გამოჯანსაღდნენ საქართველოს კურორტებზე.

საქართველოდან ფრონტზე გაიგზავნა ათასობით ექიმი და სხვა სამედიცინო მუშაკი. 500-მდე ექიმი გაიგზავნა განთავისუფლებულ რაიონებში სამუშაოდ.

ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი საქართველოს ინტელიგენცია მთელ თავის ცოდნას და ძალას მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეს ახმარდა. საქართველოს მეცნიერებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეთაურობით შეიმუშავეს მთელი რიგი სერიოზული საომეცნიერო თემები, რომლებიც დაკავშირებულია ომის წარმოებასთან.

ჩვენი მწერლები და პოეტები თავისი პატრიოტული ნაწარმოებებით საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდნენ წითელი არმიის მებრძოლებს, რომლების წინაშეც აღადგენდნენ ქართველი ხალხის გმირულ ისტორიულ წარსულს.

საქართველოს მხატვრებმა, მოქანდაკეებმა და კომპოზიტორებმა ომიანობის წლებში მთელი რიგი კარგი ნაწარმოებები შეჰქმნეს.

1942 წლის ზაფხულისა და შემოდგომის მძიმე დღეებში, როცა მტერი უშუალოდ მოადგა კავკასიონის ქედის უღელტეხილებს და შავ ღრუბლად ჩამოაწვა ჩვენს ქვეყანას, საქართველოს ათიათასობით კოლმეურნე თაგდაცვითს ნაგებობებს აშენებდა, ათასობით მათგანი კი წითელ არმიას მიჰყვებოდა, მთიანი ადგილმდებარეობის მძიმე პირობებში თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა და საკუთარი ზურგით აწვდიდა საომარ მასალასა და კვების პროდუქტებს წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც უღელტეხილებზე იბრძოდნენ.

ქართველი ხალხის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლად შევა ის გმირობა, რაც მან კავკასიონის მთის ქალთებთან მტრის გახადგურების საქმეში გამოიჩინა.

საქართველოს მშრომელებმა ნებაყოფლობით მისცეს საბჭოთა სახელმწიფოს ომიანობის წლებში სესხებისა და თავდაცვის სხვადასხვა ფონდების სახით 3 მილიარდი 173 მილიონი მანეთი.

ახლა, როცა ოთხი წლის მძიმე ომი უკან მოვიტოვეთ, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ სასიკვდილო საფრთხის დროს, რაც თავს დასტრიალებდა საბჭოთა სახელმწიფოს, ამხ. **ბერიას** მიერ სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა ხალხმა ბოლომდე და ღირსეულად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი ბოლშევიკური პარტიის წინაშე, დიდი **სტალინის** წინაშე. **(მჭუხარე ტაში).**

გუშინ საბჭოთა ხალხმა იდღესასწაულა ჩვენი გმირი წითელი არმიის არსებობის სახელოვანი 28 წლისთავი.

ლენინისა და **სტალინის** მიერ შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის წლებში შექმნილი წითელი არმია თავის დიად ამოცანათა სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან თავი გამოიჩინა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების ერთგულმა და საიმედო დამცველმა.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში წითელმა არმიამ სავსებით გაამართლა ჩვენი ხალხის ნდობა და ღირსეულად შეასრულა თავისი ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

დიდი **სტალინის** წინამძღოლობით, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა გერმანიის არმია, რომელიც, როგორც ცნობილია, თავზარსა სცემდა ევროპის სახელმწიფოთა არმიებს, და სამამულო ომიდან ისტორიულ გამარჯვებათა დიდებით მოსილი გამოვიდა.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი წითელი არმია, სამართლიანად ამაყობს მისით, მისი ისტორიული გამარჯვებებით გერმანელ ფაშისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე.

ჩვენი ქვეყნის ხალხები სამუდამოდ შეინახავენ იმ გმირთა წმიდა ხსოვნას, რომელნიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლებში.

უსაზღვროა ქართველი ხალხის სიყვარული წითელი არმიისადმი. ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს არა მარტო ის, რომ წითელი არმია დაეხმარა საქართველოს მუშებსა და გლეხებს მენშევიკური სიბილწისაგან განთავისუფლებასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, არამედ ისიც, რომ 1942 წლის მძიმე დღეებში, როცა გამხეცებული მტერი ზედ მოადგა საქართველოს საზღვრებს, წითელმა არმიამ თავისი მკერდით გადაუღობა გზა მოწინააღმდეგეს და მთებში წარმოებული ომის უზომოდ მძიმე პირობებში დაამარცხა და უკუაქცია გერმანელ ფაშისტთა ურდოები.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს წითელი არმიის გმირულ საქმეებს, რომელმაც ქართველები იხსნა ფაშისტური შემოსევის საშინელებისა და ჰიტლერელთა მიერ ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან.

მშვიდობიანი დროის ახალ პირობებში, როცა წითელი არმია მოწოდებულია ფხიზლად დაიცვას საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა და მტრისათვის მიუვალი გახადოს ჩვენი სამშობლოს საზღვრები, წითელი არმიის საჭიროებისათვის მუდმივი მზრუნველობა და ყურადღება ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანაა, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ომის საკმაოდ ბევრი პროვოკატორი დარჩა.

ამასთან ჩვენ მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში ის, რომ ჩვენი რესპუბლიკა საზღვარზე მდებარეობს, და ამ ფაქტიდან გამომდინარე დამატებითი მოვალეობანი ჩვენი შეიარაღებული ძალების მიმართ.

დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბედთან განუყრელად არის დაკავშირებული თვითეული ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ამიტომ იყო, რომ ასე უსაზღვრო მაცობით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები სამამულო ომის ფრონტებზე.

მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პირისისხლიან მტერზე ჩვენი სახელოვანი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა, უწინარეს ყოვლისა, დიდმა რუსმა ხალხმა, რომელიც არის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ არა მარტო იმას, რომ დიდმა რუსმა ხალხმა თავის დევგმირულ მხრებზე გადაიტანა სამამულო ომის ძირითადი სიმძიმე, არამედ იმასაც, რომ რუსმა ხალხმა პირველმა ააფრიალა პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური დროშა, ძრავალრიცხოვან მტრებთან სასტიკ ბრძოლაში დაიცვა საბჭოთა ხელისუფლება და დახმარება გაუწია ყოფილი მეფის რუსეთის ყველა მცირე ერს ცარიზმის, მემამულეების, თავად-აზნაურებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლების საქმეში.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, იგი 160 წელზე მეტია, რაც დიდ რუს ხალხთან ხელიხელ ჩაკიდებული მიდის.

ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობა რუს ხალხთან წარსულშიც არაერთხელ განმტკიცებულა სისხლით,

(დასასრული მე-7 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესია

მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** მოხსენება

(დასასრული)

რაც რუსებმა და ქართველებმა ერთად დაღვარეს საერთო მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში.

ახლა ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ბრძოლების ქარცეცხლში და მსოფლიოს ვერავითარი შავბნელი ძალა ვერ მოსპობს მას.

ქართველი ხალხი უდიდესი სიხარულით აღნიშნავს, რომ დღეკანდელ ჩვენს ზეიმში მონაწილეობას იღებენ დიდი რუსი ხალხის მიერ წარმოგზავნილნი ლენინ-სტალინის გვარდიის ძველი ბოლშევიკის, დიდი სტალინის თანამებრძოლის ამხ. შვერნიკის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

თვალს რომ გადავავლებთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლის მანძილზე განვლილ სახელოვან გზას, ჩვენ ერთხელ კიდევ მადლობით ვიგონებთ და ვაფასებთ იმ უდიდეს ორგანიზატორულ, პოლიტიკურ და აღმზრდელობითს მუშაობას, რაც ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიამ** გასწია საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი მუშაობის მრავალი წლის მანძილზე. **(ტაში).**

სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდი მუშაობა სწარმოებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ პერიოდში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი წარმატებანი მიღწეულ იქნა 1931 წლის შემდეგ, როდესაც დიდმა **სტალინმა** ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუყენა თავისი საიმედო თანამებრძოლი ამხ. **ბერია.** **(ტაში).**

ამხ. **ბერიას** მიერ ჩატარებული უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა ლირსშესანიშნავ ისტორიულ ნიშანსვეტს წარმოადგენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ამხ. **ბერიამ** ამიერკავკასიაში გამომაყოყანა და მოწყო ფაშისტური ოხრანკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურის ბუდე. მან ამიერკავკასიის ხალხებს ჩაუნერგა სამშობლოს მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

მან სტალინის დროშით დარაზმა ამიერკავკასიის ხალხები.

ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით საქართველო გახდა მძლავრი ინდუსტრიის, აყვავებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა, რომელმაც მტკიცე ადგილი დაიკავა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

თავისი ნაშრომით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ამხ. **ბერიამ** პირველმა გადაგვიშალა იმ მგზნებარე ბრძოლის ფურცლები, რომელსაც დიდი **სტალინი** ეწეოდა რევოლუციის გარიჟრაჟზე ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის.

ამხ. **ბერიამ** აღზარდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა მრავალრიცხოვანი დიდად ნიჭიერი კადრები, ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის კადრები, რომლებიც ამჟამად წინ სწევენ ქართველი ხალხის მეურნეობის ყველა დარგს, კულტურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას.

ამხ. **ბერიამ** აღზარდა ქართველი მებრძოლების, ოფიცრებისა და გენერლების კადრები, რომლებმაც ბრძოლის ველებზე მამაცობა, სიმტკიცე და ურყეობა გამოიჩინეს.

მრისხანე დღეებში, როცა გამხეცებული მტერი კავკასიონის მთებზე მოისწრაფოდა და ცდილობდა ხელთ ეგდო საქართველო, დიდი **სტალინის** დავალებით ამხ. **ბერია** სათავეში ჩაუდგა კავკასიის დაცვის საქმეს. მან მჭიდროდ გააერთიანა ფრონტისა და ზურგის ღონისძიებანი და უზრუნველჰყო კავკასიაში გერმანელთა გახადგურების სტალინური გეგმის ბრწყინვალედ განხორციელება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ყველა მიღწევა—მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების აყვავება და ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება განუყრელად არის დაკავშირებული ამხ. **ბერიას** სახელთან და მუშაობასთან.

ამიტომ არის, რომ ყოველი ქართველი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლობის გრძნობით ატარებს თავის გულში ამხ. **ბერიას** სახელს. **(ტაში).**

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. **ბერია** დატვირთულია დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობით, იგი მაინც პოულობს დროს და სისტემატურ დახმარებას გვიწევს თავისი ხელმძღვანელი მითითებებითა და რჩევა-დარიგებით, რომლებსაც ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორც თქვენ უკვე იცით, ამ ცოტა ხნის წინათ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, ამხ. **ბერია** პირადად ჩამოვიდა საქართველოში, გაეცნო ჩვენს მდგომარეობას და თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, აგრეთვე ხელმძღვანელ მუშაკებთან პირადი საუბრის დროს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დავალებანი მოგვცა.

ამხ. **ბერიამ** მთავარ ამოცანად დაგვისახა—რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ომის შედეგები და სწრაფი ნაბიჯით გავწიოთ წინ მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ. მან მოითხოვა ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ამხ. **ბერიამ** სერიოზული ამოცანები დაგვისახა სოფლის მეურნეობის დარგშიც, განსაკუთრებით სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში.

მან ჩვენი ყურადღება მიაქცია ქალაქების, კერძოდ ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის ხაზით სამუშაოთა გაძლიერების საჭიროებას.

მან უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს და საქართველოს მთელ საბჭოთა ინტელიგენციას.

ჩვენ მოვალენი ვართ უმოკლეს ვადაში შევასრულოთ ამხ. **ბერიას** ყველა მითითება და ჩვენ ამას გავაკეთებთ. **(ტაში).**

დასავლეთში გერმანელი ფაშისტებისა და აღმოსავლეთში აგრესიული იაპონიის წინააღმდეგ მძიმე ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა.

გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფო წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა ეკონომიკამ, გაიმარჯვა ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ, გაიმარჯვა დიდი **სტალინის** მხედართმთავრულმა გენიამ. **(ტაში).**

მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობაზე გადავიდა და მის წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები დაისახა.

როგორც ვიცით, ჩვენი ომისშემდგომი ამოცანები მოცემულია ახალ ხუთწლიან გეგმაში, რომლის შესახებ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა **სტალინმა** სთქვა: „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და, შემდეგ, გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობით“.

ამხანაგმა **სტალინმა** მოითხოვა, რომ ჩვენ ამ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საჭონლის ფასების თანდათანობითი შემცირებით.

ამხანაგმა **სტალინმა** საბჭოთა ხალხებს უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის დაუსახა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა—„მოაწყონ საბალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვედიდებინა ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად, ომამდელ დონესთან შედარებით“.

საბჭოთა ხალხი მთელი თავისი მგზნებარე ენერგიით ერთსულოვნად შეუდგება ამხანაგ **სტალინის** მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამ დიადი ისტორიული ამოცანების შესრულებას, ვინაიდან საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა ძალა და მნიშვნელობა აქვს სტალინურ ხუთწლედებს.

როგორც ვიცით, საქართველო უშუალოდ არ დაზარალებულა მტრის შემოსევისაგან, მაგრამ ომის შედეგები ჩვენშიც არის. ჩვენ უახლოეს დროში უნდა მოვახდინოთ ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია და სწრაფი ნაბიჯით გავწიოთ წინ ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ.

უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ ვადამდე შესრულება ჩვენი ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში ახალ სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის ფართოდ გაშლას.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ სამუშაოზე, რაც ჩვენ უახლოეს წლებში უნდა შევასრულოთ, მოვიყვან ზოგიერთ ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის პროექტიდან, რომელიც წინასწარ მოწონებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ:

საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის განისაზღვრება 4.200 მილიონი მანეთით. ამ ხუთწლედში ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვანახშირის 11 შახტი, მეტალურგიული ქარხანა, რომელიც წელიწადში მოგვცემს 430 ათას ტონა თუჯს, 500 ათას ტონა ფოლადს, 500 ათას ტონა კოქსს და 384 ათას ტონა სხვადასხვა ნაგლინს; ჭუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც წელიწადში მოუშვებს 30 ათას სამტონანახევრიან სატვირთო ავტომანქანას; უნდა დავამთავროთ ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხნის, პლასტმასის ქარხნის მშენებლობა; უნდა ავაშენოთ გორში საფეიქრო კომბინატი, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 30 მილიონ მეტრამდე ბამბის ქსოვილს, და მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოები. უნდა დავამთავროთ ხრამჰესის, სოხუმჰესის, ჩითახევჰესის მშენებლობა; უნდა დავიწყოთ და დავამთავროთ ტყიბულისა და შაორის ჰიდროელსადგურების მშენებლობა.

ჩვენი ელექტროსადგურების სიმძლავრე ამ ხუთწლედში 270 ათასი კილოვატით გაიზრდება.

უნდა გავაორკეცოთ ჩვენი მაუდის ფაბრიკების სიმძლავრე და განვახორციელოთ სამგორის სისტემისა და მთელი რიგი სხვა სარწყავი არხების მშენებლობა. ფართოდ უნდა გავშალოთ სკოლების, სამეცნიერო ინსტიტუტების და დაწესებულებების, თეატრების, კინოების და განსაკუთრებით საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის.

ჩვენი ადგილობრივი და კოოპერატიული მრეწველობა იმდენად უნდა გაფართოვდეს, რომ 1950 წელს გამოიმუშაოს 400 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1945 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 1950 წელს უნდა გადიდდეს ერთიოთხად, ხავთის ამოღება—ერთისამად და უფრო მეტად, მარგანეცის მოპოვება — ორნახევარჯერ და უფრო მეტად, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების გამომუშავება—ერთიორად, ფეხსაცმლის გამოშვება—ერთიოთხად და მცენარეული ზეთის გამომუშავება—ოთხნახევარჯერ.

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საერთო პროდუქცია 1950 წელს, 1945 წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს 117 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—59 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—73 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—80 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—48 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა—70 პროცენტით, სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოსი — 161 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა—53 პროცენტით და სარეწაო კოოპერაციისა—40 პროცენტით.

სოფლის მეურნეობაში, სწორი თესლბრუნვების შემოღების დამთავრების გარდა, მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მოსავლიანობა, 1945 წლის დონესთან შედარებით, უნდა გავადიდოთ 56 პროცენტით.

მრავალწლიანი კულტურებისა—ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ხეხილის ბაღების, ტუნგოს ნარგავებისა და სხვათა არსებული პლანტაციების რემონტთან, წესრიგში მოყვანასთან და მათი მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, მომავალ ხუთწლედში უნდა გავაშენოთ ჩაის 6.000 ჰექტარამდე ახალი პლანტაცია, 11 ათასი ჰექტარი ციტრუსები, 15 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები, 13 ათასი ჰექტარი ვენახი და 4.000 ჰექტარზე მეტი ტუნგო.

ამ ხუთწლედში ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გავადიდოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 15 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—33 პროცენტით, ღორისა—46 პროცენტით და ცხენისა — 42 პროცენტით.

როგორც ხედავთ, ჩვენ გრანდიოზული სამუშაოები უნდა შევასრულოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ჩვენს მიერ მოყვანილი ცნობები ამოღებულია ხუთწლიანი გეგმის პროექტიდან, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა განიხილავს. ციფრები შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ მხრივ, მაგრამ, როგორც ვიცით, 1946 წელი წარმოადგენს ომისშემდგომი ხუთწლედის პირველ წელს და, მაშასადამე, ეს გეგმა პრაქტიკულად უკვე მოქმედებს და ჩვენ ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შევასრულოთ 1946 წლის გეგმა. ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება.

ამავე დროს ჩვენი მუშაობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. ადგილობრივი მრეწველობა ჯერადამაკმაყოფილებლად მუშაობს და ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გეგმას.

ჩამორჩენილი არიან ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი საწარმოებიც, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობისა და ავტომატრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოები.

ჯერ კიდევ კარგად არ არის დაყენებული გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და თვითღირებულების საქმე.

ცალკეულ მნიშვნელოვან ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

მთელი ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ლიკვიდირებული.

გადაჭრით უნდა გამოვიყვანოთ ზოგიერთი ჩვენი მუშაკი თვითდამშვიდების მდგომარეობიდან და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ დაწესებული გეგმები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც სრულდებოდეს.

ჩვენს მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარება.

ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე რომაა. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დრო უახლოეს დღეებში დადგება, ჩვენი ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობანი კი ჯერ კიდევ არ გზმოსულან საზამთრო მოდუნების მდგომარეობიდან და ზოზინით იწყებენ მუშაობას.

ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ მრავალწლიანი ნარგავების — ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს, ვენახის, ხეხილის ნარგავების საზამთრო-საგაზაფხულო დამუშავება.

უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშათა მასობრივი გასვლა საგაზაფხულო თესვისათვის მიწების მოსახნავად და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად.

ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ და კიდეც უნდა ჩავატაროთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, რათა უზრუნველვყოთ მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უაღრესად უხვი მოსავალი. ამისათვის ჩვენ მოგვეპოვება ყოველგვარი პირობები, მით უმეტეს, რომ წითელი არმიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდძალი მუშახელი დაბრუნდა.

ამხანაგებო! 1946 წლის 10 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში თავისი საყოველთაო მონაწილეობით და კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით მთელმა ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი დარაზმულობა **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, თავისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება დიდი **სტალინისადმი,** თავისა დაუცხრომელი სურვილი იმუშაოს და იბრძოლოს **სტალინის** დროშით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

საბჭოთა ხალხის ეს განსაკუთრებული აქტივობა, დარაზმულობა და ერთსულოვნობა წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ წარმატებით იქნება განხორციელებული საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აყვავების გრანდიოზული პროგრამა, რომელიც მოცემულია ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ სიტყვაში.

ამხანაგებო! მოკლე ისტორიული გზის მანძილზე, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხმა მთელ რიგ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია.

1917 წელს **ლენინისა** და **სტალინის** მეთაურობით, რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, შეჰქმნა საბჭოთა ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

სამოქალაქო ომის წლებში, როცა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საბჭოთა სახელმწიფო მრავალრიცხოვანი მტრებით იყო გარშემორტყმული, საბჭოთა ხალხმა, აუტანელ მძიმე პირობებში, **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურა შინაგანი კონტრრევოლუციისა და 14 სახელმწიფოს ინტერვენტთა მრავალრიცხოვანი ურდოები, რომლებიც მაშინ ჩვენს ქვეყანას აწვებოდნენ.

სტალინის წინამძღოლობით ჩვენ ჯერ წარმატებით აღვადგინეთ სამოქალაქო ომით დანგრეული მეურნეობა და შემდეგ უმაგალითო მოკლე ხნის განმავლობაში უზრუნველვყავით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ხალხის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ჯერ არნახული განვითარება, და სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ამხანაგმა **სტალინმა** შეჰქმნა და გამოაწრთო ჩვენი მძლავრი წითელი არმია და უზრუნველჰყო საბჭოთა სახელმწიფოს მზადყოფნა აქტიური თავდაცვისათვის.

დიდი **სტალინის** წინამძღოლობით საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო სამამულო ომის ყველაზე მძიმე განსაცდელს.

ამხანაგ **სტალინის** მხედართმთავრულმა გენიამ უზრუნველჰყო ჩვენი ისტორიული გამარჯვება დასავლეთში ფაშისტურ გერმანიაზე და აღმოსავლეთში იაპონელ იმპერიალისტებზე.

სტალინის გენიამ იხსნა საბჭოთა სახელმწიფო მოსპობისაგან და საბჭოთა ხალხები — გაჟლეტისა და დამონებისაგან.

დიდი **სტალინის** წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით ჩვენი ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი გამარჯვებულნი გამოვლენ ჩვენი გრანდიოზული ომისშემდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვების საქმეშიც. **(ტაში).**

ამხ. **ბერიას** მიერ აღზრდილნი, საქართველოს ბოლშევიკები, თავისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, და მთელი ქართველი ხალხი მზად არიან შეასრულონ ამხანაგ **სტალინის** ყველა დავალება. **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერ საბჭოთა სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს — დიდ **სტალინის** თანამებრძოლს—ამხანაგ **ბერიას!** **(მჭუხარე ტაში).**

დიდება დიდ სტალინს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან).



თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესიის პრეზიდიუმში (მარცხნიდან მარჯვნივ): გენერალ-პოლკოვნიკი ს. ტროფიმენკო, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პაპიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. ხტურუა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. მ. შვერნიკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბარამია, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე თ. ყულიევი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საქართველო

დასაბამიდან ანდერძად გჭონდა
თავისუფლება გულს დასახული,
ახლა თვითეულ კოკორში სუნთქავ
ულევ სიცოცხლით და გაზაფხულით.

დასაბამიდან ხმალ შემორტყმული
დგეხარ და მტერი უამარია,
შენი მარჯვენა და შენი დროშა
ორი ათას წლის ნაომარია!

მზიანო მხარევ, ცოტას ნათობდი,
იცოდი ბევრი შემოღამება,
ვინ ჩამოთვალოს შენი ჭრილობა,
შენი გმირობა, შენი წამება!

ყველა მოჰქროდა შენს შესამუსრად,
მეზობელი თუ გაუმთიელი —
არაბი, თურქი, სპარსი, ხაზარი,
ლეკი, მონგოლი, ბიზანტიელი.

შენ ისევ დგეხარ, თუმცა სისხლის ზღვამ
და ცეცხლის წარღვნამ გადაგიარა.
ყველას უნდოდა შენი გალეწა,
თვით დაილეწნენ, იქმნენ იავარ!

ან ბაბილონი და ასურეთი,
ან ფინიკია სადღა არიან? —
მათი სიმტკიცე და ძლიერება
დღეს მოჩვენება და სიზმარია.

მათი აჩრდილნი უდაბნოების
ქვიშის გრიგალში კვნესით დაძრწიან,
ხოლო მარჯვენამ შენმა ძლიერმა
დიდი აკვანი მღერით არწია!

მებრძოლ ხმლის შუქით განვლე ბნელეთი
და სიჭაბუკე შეგრჩა უცვლელი,
არ დაგიკარგავს თავისუფლება,
ბოლოს იპოვნე მზე ჩაუსვლელი!

და ახლა ბრწყინავ მისი დიდებით,
არწივიანო, მხარევ ძლიერო
უფრო იდიდე, შენმა არწივმა
სულ გაზაფხული გიბედნიეროს!..

გიორგი ლეონიძე

საქართველოს

განა იმიტომ ვეტრფი და ვაქებ
ამ ჩვენს მთამაღალ საქართველოსა,
რომ აქ იხილავ ლამაზ ქალაქებს,
კამკამა ზღვას და მწვანე მდელოსა;

განა იმიტომ გავხდი ზვიადი,
რომ ბინა ჩვენში დაუდევს ყაზბეგს,
რომ ის უდრეკი, მარად დიადი
ბადებს უცნაურ და მაღალ აზრებს;

რომ საქართველოს ფრიალო კარებს
სდარაჯობს თერგი და დარიალი,
და გუშაგობენ საოცარ მხარეს
კლდის დუმილი და ტალღის გრიალი;

განა იმიტომ, რომ ივერიას
ჰყავდა შაირის დიდი მოგვები,
რომ დედა-მიწას მრავალერიანს
მათი ჰანგით და ცეცხლით მივყვებით.

განა იმიტომ, რომ ჩვენს წინაპრებს
გაუჭედიათ პირველებს რკალი,
და დღესაც თითქოს ვისმენთ იმ ზღაპრებს
ძველ ნახელავს თუ შეავლე თვალი;

რომ ამირანმა—ქართველთა გმირმა —
აჯანყებათა ძველმა ოსტატმა,
გაათბო კაცი კოცონის პირათ
როდესაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა;

განა იმიტომ, რომ დღესაც ძალგვიძს
ვნახოთ თაღები მცხეთის ჯვარისა,
წიგნში მელანი თამარის კალმის,
ელვა ერეკლეს სატევარისა;

ვამაყობ,
მიყვარს, რომ ივერიამ
დიდი სტალინი მზისეთს აჩუქა,
რომ დედა-მიწას მრავალერიანს
კრემლიდან მზეებრ გადმოაშუქა,

რომ ჩვენს პლანეტას მტრისგან დაკოდილ
მან შეუხვია მძიმე იარა,
რომ გამოსტაცა ურჩხულს წალკოტი,
ისევ სიცოცხლე გაგვიზიარა!

მიქელ პატარიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესია

გუშინ, 24 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შესდგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესია.

გარდა დეპუტატებისა, სესიას დაესწრნენ საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის საიუბილეო ზეიმში მოხვედრილი მისაღებად მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული დელეგატები, სამხედრო ნაწილთა წარმომადგენლები, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები — სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

სესიის პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რატიფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ნ. მ. შვერნიკი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ნ. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. თ. სტურუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. დ. კოჭლამაზაშვილი, გენერალ-პოლკოვნიკი ტროფიმენკო, მ. ი. ბარამია, ვ. დ. ბუჯიაშვილი, პ. ა. შარია, მ. ი. ჯაში, ვ. ი. ეგნატაშვილი, მ. დელბა, დ. დავითაძე, სახალხო კომისრები, საბჭოთა, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მომძე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები, მათ შორის, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე თ. ყულიევი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პაპიანი.

საიუბილეო მეცხრე სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. კოჭლამაზაშვილმა.

სესიის გახსნისას შესრულებულ იქნა საბჭოთა საქართველოს ჰიმნი.

დეპუტატმა ზ. ჩხუბიანიშვილმა შემოიტანა წინადადება სესიის საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი!** მქუხარე ტაშითა და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ დეპუტატები, მათთან ერთად სტუმრებით გაჭედილი მთელი დარბაზი ამ წინადადებას.

უდიდესი აღფრთოვანებით და ხანგრძლივი ტაშით სესიის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ **ი. ბ. სტალინი** და მისი უახლოესი თანამებრძოლები — **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი და ვოზნესენსკი.**

სესიის თავმჯდომარემ სიტყვა მოხსენებისათვის — „მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნულ და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან“—მისცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ბაქრაძეს.

მომხსენებელმა სესიის მონაწილეებს გადაუშალა საქართველოს მშრომელთა მიერ ოცდახუთი წლის მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით განვლილი სახელოვანი გზის სურათი, მეფის რეჟიმის დროს ჩამორჩენილი და გაყვლეფილი, ხოლო მენშევიკების აღვირახსნილი პარპაშის შედეგად სრულ განადგურებამდე მიყვანილი ჩვენი სახალხო მეურნეობის განახლების ბრწყინვალე სურათი.

ხალხით სავსე დარბაზი ყურადღებითა და დიდი ინტერესით უსმენდა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს. მომხსენებელს ხშირად ტაშითა და ოვაციით აწყვეტინებდნენ სიტყვას, როცა იგი ლაპარაკობდა ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მიერ საქართველოს მშრომელებისათვის გაწეულ ამაგზე, სტალინის უერთგულესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მუშაობაზე.

ამხ. ვ. ბაქრაძის მოხსენების დამთავრების შემდეგ სესიამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო დიდი სტალინისათვის გასაგზავნი მისასალმებელი წერილი, რომლის ტექსტი წაიკითხა დეპუტატმა ნ. კეცხოველმა.

დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციების წარმომადგენელთა გამოსვლები.

თავმჯდომარემ პირველი სიტყვა მისცა რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს.

ამხანაგმა ნ. შვერნიკმა საქართველოს მშრომელებს მიულოცა თავისუფალი ცხოვრებისა და კულტურულ-ეკონომიური აღორძინების სახელოვანი XXV წლის იუბილე რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სახალხო კომისართა საბჭოს და მთელი რუსი ხალხის სახელით.

ამხ. ნ. მ. შვერნიკმა ილაპარაკა დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობაზე, რომელიც განმტკიცებულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი გატარებით. მან გამოსთქვა რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებმაც სახელოვნად მოიხადეს პატრიოტული ვალი დიდი საბჭოთა სამშობლოს წინაშე სამამულო ომში, ასევე წარმატებით შეასრულებენ იმ დიად ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ხალხს დაუსახა ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ წინასაარჩევნო სიტყვაში.

ტრიბუნაზე ადის აზერბაიჯანის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელი, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე თ. ყულიევი.

— აზერბაიჯანის ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხთან ერთად, —სთქვა ამხ. ყულიევმა,—უსაზღვროდ მადლიერია ქართველი ხალხისა იმიტომ, რომ მან ჩვენს სამშობლოს მისცა მრავალი გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწე. მადლიერი ვართ ქართველი ხალხისა იმიტომ, რომ მან პროგრესიულ კაცობრიობას მისცა უდიდესი გენიოსი, დიდი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ამხ. თ. ყულიევმა აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით სესიის პრეზიდიუმს გადასცა ქართველი ხალხისათვის გამოგზავნილი საჩუქარი —ძვირფასი ნოხი, რომელზეც ამოქარგულია დიდი **სტალინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** პორტრეტები.

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა სომხეთის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელს, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. პაპიანს. იგი ლაპარაკობს სომხეთისა და საქართველოს ძმურ კავშირსა და კეთილმეზობლობაზე, რომელიც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად გადაიქცა ურღვევ მეგობრობად. მიულოცა რა საქართველოს მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვანი XXV წლისთავი, ამხ. მ. პაპიანმა სესიის პრეზიდიუმს გადასცა ძვირფასი საჩუქარი—„ვეფხის ტყაოსნის“ ხელნაწერი ვარიანტი, რომელიც დაცული იყო სომხეთში.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა თბილისის სამხედრო ოლქის სარდალს, საბჭოთა კავშირის გმირს, გენერალ-პოლკოვნიკ ს. ტროფიმენკოს. გაისმა საყვირთა ხმა და დარბაზში მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ თბილისის სამხედრო ოლქის ყველა გვარეობის ჯარის ნაწილთა წარმომადგენლები.

გენერალ-პოლკოვნიკმა ტროფიმენკომ მიულოცა საქართველოს მშრომელებს სახელოვანი იუბილე. მან აღნიშნა, რომ თბილისის სამხედრო ოლქში არიან ისეთი ნაწილები, რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებულია ქართველი ხალხის შვილებით. ამ ნაწილებს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მხრივ მოწინავე ადგილი უკავიათ. თბილისის სამხედრო ოლქის ნაწილთა მებრძოლების, სერჟანტების, ოფიცრებისა და გენერლების სახელით სესიის პრეზიდიუმს საჩუქრად გადაეცა საბრძოლო იარაღის პატარა, ლამაზი მაკეტები — თვითმფრინავები, ტანკები, საარტილერიო ნიმუშთა მაკეტები და სხვა საჭური-ველი.

ტრიბუნაზეა უკრაინის სსრ მშრომელთა დელეგაციის წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. შუმსკი. უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის მთავრობის სახელით მან მხურვალე მისალმება გადასცა ქართველ ხალხს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავზე და უკრაინის ხალხისაგან საქართველოს მშრომელებს მიუძღვნა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის შოვკუნენკოს საუკეთესო ნამუშევარი — მხატვრული ტილო „შეფანდურე ქალი“.

საქართველოს მშრომელებისადმი მხურვალე მისალმებების სიტყვები წარმოსთქვეს ბელორუსიის მშრომელთა სახელით ქალაქ მინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. მაჩულსკიმ, უზბეკეთის მშრომელთა დელეგაციის წარმომადგენელმა ამხ. ყარი ნიაზოვმა, რომელმაც საქართველოს მშრომელთათვის საჩუქრად ჩამოიტანა უზბეკ კლასიკოსთა ხარჭომებების დიდ. ბიბლიოთეკა, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის—მოსკოვის მშრომელთა სახელით საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. სოკოლოვმა, თურქმენეთის მშრომელთა სახელით—ო. შიხმურადოვმა, გმირი ლენინგრადის მშრომელთა სახელით—ნ. ნიკოლაევმა, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ვ. კარპოვმა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ამხ. გაზაევმა.

შემდეგ სესიამ უსაზღვრო აღფრთოვანებით, ხანგრძლივი მქუხარე ტაშით მისალმებანი გაუგზავნა დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლებს ამხანაგებს **მ. ი. კალინინს, ვ. მ. მოლოტოვს** და **ლ პ. ბერიას.**

სესია დამთავრდა საბჭოთა საქართველოს ჰიმნის შესრულებით.

საქართველოს დიდო დროშავ!

საქართველოს დიდო დროშავ,
რა ძველი ხარ, რა ნათელი!
შენს კალთაზე სხივი მოსჩანს
რუსთაველის დანანთები.

რა დიდი გზა გაგივლია,
სად ჩალაგდა დრო იმდენი?
შენს ფარჩაზე სხივი ბრწყინავს
თამარ-მეფის დროინდელი.

საქართველოს დიდო დროშავ,
ძველი ხარ და თან ახალი.
დილის სხივი აელვარდა
შენს ფარჩაზე დანახალი.

ზედ სტალინის ვარსკვლავი ზის,
ვით არწივი ფრთაწითელი.
ააყვავა მისმა შუქმა
საქართველო აწინდელი.

ჩვენ დიღებით გავიარეთ
ამ ვარსკვლავის მეოხებით
გამარჯვების გრგვინვით სავსე
საუკუნის მეოთხედი.

ბედნიერო ქართლის დროშავ,
შენი რხევა ათარიღებს
საქართველოს ისტორიის
უბრწყინვალეს დღეთა რიგებს.

რა დიდი გზა გაგივლია,
სად ჩალაგდა დრო იმდენი!
შენს კალთაზე სხივი ბრწყინავს
გორგასალის დროინდელი.

წინ მიუძღვის ამ დიდ გზაზე
ერის ფიქრს და ერის წადილს
გამარჯვების გრგვინვით სავსე
ოცდახუთი წელიწადი.

ალექსანდრე აბაშელი

საქართველოს მშრომელთა დიდი ღვაწლისანაულის აღსანიშნავად

ფოლადი გრაფიკზე ადრე

აბაგანროგი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში ჩამოყალიბდა საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდა მეტალურგების ცვლა, რომელიც კარგად დაეუფლა მარტენის ღუმელზე მუშაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავის აღსანიშნავად ახალგაზრდა ქართველმა მეტალურგებმა იკისრეს ფოლადის დამოუკიდებლად გამოდნობა. რამდენიმე დღის წინათ მათ ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულეს და ფოლადი გრაფიკზე ადრე გამოადნეს. საუკეთესოდ დაეუფლნენ ფოლადის დნობას და თავი გამოიჩინეს მეფოლადე შენგელიამ, დამხმარეებმა ჭიღვარიამ და კაკაჩიამ, კაზმის ჩამტვირთავმა მემანქანემ კაცაძემ, მეცივცხუ კობალიანმა, მსზმელმა ხელაიამ, მეთხრილეებმა ა. გუგავამ და გ. მეშველიანმა, ტრანსპორტერზე მომუშავე ჩიკვაიძემ, ელექტრიკოსებმა სართანიამ და სირაძემ.

ა. შურიკაძე

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. შეიქმნას ამხ. **ვ. პ. პოტიომკინის** დაკრძალვის მომწყობი კომისია ამხანაგების ა. ნ. კოსიგინის (თავმჯდომარე), გ. მ. პოპოვის, ვ. პ. პრონინის, ნ. გ. ბრუევიჩისა და ნ. ნ. იაკოვლევის შემადგენლობით.

2. ამხ. **ვ. პ. პოტიომკინის** დაკრძალვა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

3. დაიკრძალოს ამხ. **ვ. პ. პოტიომკინი** წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა მიღება მოაწყო წითელი არმიის 28 წლისთავის გამო

23 თებერვალს წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა მიღება მოაწყო წითელი არმიის 28 წლისთავის გამო. მიღებას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი ჩოიბალსანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ი. ცედენბალი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ა. ა. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, საბჭოთა კავშირის დესპანი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ივანოვი, ავიაციის შთავარი მარშალი ა. ა. ნოვიკოვი, არტილერიის მარშალი ნ. დ. იაკოვლევი, არტილერიის მარშალი მ. ნ. ჩისტიაკოვი, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვორობიოვი, არმიის გენერალი ა. ვ. ხრულევი, ადმირალი ლ. მ. გალერი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ვ. შიკინი, გენერალ-პოლკოვნიკი ს. მ. შტემენკო, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ფ. კუზნეცოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, უცხოეთის სამხედრო და საზღვაო ატაშეები, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები.

28 თებერვალს, საღამოს 7 საათზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორთა მუდმივად მოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნები“.

მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000. უე 00126